პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 38-ე წელი № 118 (11122) | შაბათი, 24 მაისი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

## დ ღ ე ს ნ ო მ ე რ შ ი ა:

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ურხო კეკონენი მოსკოვში (1-ლი გვერდი).
საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში (1-ლი გვერდი).
ამიერკავკასიის ხალხთა მუსიკალური გაზაფხული (1-ლი გვერდი).
სოფლის მეურნეობის სამსახურში (1-ლი გვერდი).
მშრომელთა წერილები რედაქციას (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება. — გ. ნაჭყებია. — მსმენელთა მაღალი აქტივობით (მე-3 გვერდი).
ი. ფანცულაია. — ყოველმხრივ განვავითაროთ სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზები ჩვენს რესპუბლიკაში (მე-3 გვერდი).
შ. ხვადაძე.—სკოლიდან კოლმეურნეობებში (მე-3 გვერდი).
წერილები მთიანი რაიონებიდან. — დ. ლომთაძე. — I. გზა ლენტეხისაკენ (მე-3 გვერდი).
ა. ბეშიძე. — ონის [illegible] (მე-3 გვერდი).
პ. ჭიოკაძე. — მხარეთმცოდნეობის მუზეუმი სკოლაში (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).
სსრ კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის საბჭოთა კავშირ-კორეის კომისიის სესია (მე-4 გვერდი).

## დროულად და საქმიანად გამოვეხმაუროთ მშრომელთა წერილებსა და სიგნალებს

კომუნისტური პარტიის ძლიერების უშრეტი წყარო ყოველთვის იყო და არის მისი მტკიცე კავშირი მშრომელთა ფართო მასებთან. ამ კავშირის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია ახლა, როცა საბჭოთა ხალხი ძალასა და ენერგიას არ იშურებს იმისათვის, რომ ახალ წარმატებებს მიაღწიოს პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ჩვენი პარტიისა და ხალხის ურღვევი კავშირის ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულებაა ის, რომ საბჭოთა ადამიანები, რომლებიც სისხლხორცეულად არიან დაინტერესებულნი კომუნისტური მშენებლობის წარმატებებით, აქტიურად მონაწილეობენ მთელი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა საკითხის გადაჭრაში.

მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენტები, რომლებიც ყველაზე ახლო დგანან ცხოვრებასთან, ბევრ ძვირფას წინადადებას აყენებენ, რომელთა განხორციელება დიდად გვეხმარებოდა და გვეხმარება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აქტუალური საკითხების გადაჭრაში. ისინი მოურიდებლად ამხილებენ ნაკლოვანებებს, მოითხოვენ მშრომელთა მოთხოვნილებებისა და ინტერესებისადმი უსულგულო-ბიუროკრატიული დამოკიდებულების ძირშივე აღმოფხვრას.

„კომუნისტის" რედაქციას ყოველდღე მოსდის მშრომელთა მრავალი წერილი, სიგნალი, განცხადება და შეკითხვა. ამ წერილების ერთი ნაწილი გაზეთში ქვეყნდება, ხოლო ბევრი წერილი და სიგნალი ზომების მისაღებად ეგზავნებათ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს, მათ ხელმძღვანელებს. ბევრი მაგალითის დასახელება შეიძლება იმის ნათელსაყოფად, როცა მშრომელთა წინადადებებს, მათ სიგნალებსა და საჩივრებს, რომლებსაც რედაქცია ამა თუ იმ ორგანიზაციას უგზავნის, საქმიანად, ოპერატულად ეხმაურებიან.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა ზოგიერთ დაწესებულებასა და ორგანიზაციაში ფორმალურ, ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას იჩენენ პრესის სიგნალებისადმი, დროულად არ განიხილავენ მშრომელთა წერილებსა და საჩივრებს, ხშირად კი რედაქციას მშრომელთა ამა თუ იმ წინადადების ან სიგნალის განხილვის შედეგებზე სტანდარტულ, არაფრისმთქმელ პასუხს უგზავნიან, არ იღებენ ზომებს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. პასუხში არა ჩანს, თუ კონკრეტულად რა ღონისძიებები იქნა განხორციელებული ამა თუ იმ ნაკლის აღმოსაფხვრელად, რა ნაბიჯი გადაიდგა მდგომარეობის გამოსასწორებლად.

აი რამდენიმე მაგალითი. იანვარში ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა საპატიო მეშახტის ი. ორჯონიკიძის წერილი, რომელშიც მხილებული იყო სერიოზული ნაკლოვანებანი ტყიბულის სამშენებლო ორგანიზაციებისა და საქალაქო მეურნეობის ცალკეულ დაწესებულებათა საქმიანობაში. ეს წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა ტყიბულის რაისაბჭოს აღმასკომს. მიუხედავად არაერთგზის შეხსენებისა, აღნიშნულ წერილზე რედაქციას დღემდე პასუხი არ მიუღია. მშრომელთა სიგნალებსა და წერილებზე პასუხს აჭიანურებენ აგრეთვე ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობის, საქჰიდროენერგომშენის ტრესტის, სტალინირის რაისაბჭოს აღმასკომის, კულტურის სამინისტროს, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს, თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომის და კიდევ სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები.

ლენინგორის რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე ამხ. ა. მარგიევი რედაქციიდან გაგზავნილი წერილის გამო, რომელიც სოფ. გარუბნის 7-წლიანი სკოლის დირექტორის გ. ბიკოევის ბოროტმოქმედებას ამხილებდა, ასეთ არაფრისმთქმელ პასუხს გვწერს: „სკოლის დირექტორის მიმართ წერილში აღნიშნული ზოგიერთი ფაქტი დადასტურდა, რის გამოსასწორებლადაც განათლების განყოფილებამ მიიღო ზომები".

კიდევ მეტი. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ზოგიერთი ორგანიზაციის ან დაწესებულების ხელმძღვანელი ბიუროკრატიულად ეკიდება მშრომელთა სიგნალებს და, ფარავს რა ნაკლოვანებებს, ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს, მოატყუოს რედაქცია. მაგალითად, ორჯონიკიძის რაიონიდან რედაქციას სწერდნენ, რომ რაიონულ საავადმყოფოში მთელ რიგ უწესობას, ავადმყოფებისადმი უსულგულო დამოკიდებულებას იჩენენ და სხვ. აღნიშნული წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა ადგილობრივი რაისაბჭოს აღმასკომს. ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ე. აბაშიძემ რედაქციას აცნობა, წერილში მოყვანილი ფაქტები არ დადასტურდაო. რედაქციამ ხელმეორედ შეამოწმა აღნიშნული საკითხი და დადასტურდა, რომ მამხილებელ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერებოდა. რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკები ახლა თავს იმით „იმართლებენ", რომ დასახელებული სიგნალი მათ შესამოწმებლად რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგეს ამხ. ლ. ჩიკვაიძეს გადასცეს, რომელმაც არაობიექტურად შეამოწმა მამხილებელ წერილში მოყვანილი ფაქტები.

მსგავსი მაგალითების დასახელება, სამწუხაროდ, კიდევ შეიძლება. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ ცალკეული მუშაკები, უგულებელყოფენ რა პრესის სიგნალებს, ამასთან ცდილობენ, რომ გაზეთმა გამოხმაურება არ დაბეჭდოს ამა თუ იმ ნაკლოვანებათა შესახებ იმ რაიონებიდან ან ობიექტებიდან, სადაც ისინი მუშაობენ. იმათ, ვინც საქმისადმი ასეთ დამოკიდებულებას იჩენს, ავიწყდებათ პარტიის მითითება იმის შესახებ, რომ თუ ჩვენ აშკარად და პატიოსნად არ გამოვააშკარავეთ ჩვენი ნაკლოვანებები და შეცდომები, ამით წინსვლის გზას დავიხშობთ.

დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, საბჭოთა აპარატის ყოველ მუშაკს უნდა ახსოვდეთ, რომ თვითეული წერილის უკან ცოცხალი ადამიანი დგას, რომელთა ინტერესებისათვის შეუნელებელ ზრუნვაზე პარტია და მთავრობა ყოველთვის ამახვილებდნენ და ამახვილებენ ყურადღებას.

დროულად და საქმიანად გამოვეხმაუროთ მშრომელთა წერილებსა და სიგნალებს, მხარი დავუჭიროთ მასების შემოქმედებით ინიციატივას, ყოველდღიური კავშირი გვქონდეს მასებთან და ვიზრუნოთ მათი კეთილდღეობისათვის — აი ამოცანა, რომლის განხორციელებისათვის ყოველი ხელმძღვანელი, ყოველი მუშაკი უნდა იბრძოდეს.

## საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის მომზადებასა და მოწყობაში 1959 წლის იანვარში.

ანიჭებს რა დიდ მნიშვნელობას ახალგაზრდობის მონაწილეობას მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერაში, საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა კომკავშირულ ორგანიზაციებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ აღწერასთან დაკავშირებულ მასობრივ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ-ტექნიკურ მუშაობაში.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა აღმრიცხველებად, ინსტრუქტორ - კონტროლიორებად, აღწერის განყოფილებათა გამგეებად და მათ თანაშემწეებად უნდა გაგზავნონ მომზადებული კომკავშირელები მასწავლებელთა, უმაღლესი სასწავლებლების და ტექნიკუმების უფროსი კურსების მოსწავლეთა, დაწესებულებებისა და საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების მუშაკთა რიცხვიდან.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა აგრეთვე აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის დროს შეუფერხებელი კავშირგაბმულობის მოწყობაში, ყოველი ღონისძიებით იზრუნონ აღწერის განყოფილებების, საინსტრუქტორო და სააღრიცხვო უბნების კავშირგაბმულობის საშუალებებით მოწყობისათვის. ტექნიკური კავშირგაბმულობის გარდა ისინი უნდა დაეხმარონ დუბლირებული კავშირის მოწყობაში ცხენოსანთა, ქვეითთა, მოთხილამურეთა გუნდებისა და მოტორიზებული გუნდების საშუალებით.

## საგაზეთო ნარკვევების მწერალთა სრულიად საკავშირო სემინარი

22 მაისს მოსკოვში ჟურნალისტის ცენტრალურ სახლში გაიხსნა საგაზეთო ნარკვევების მწერალთა სრულიად საკავშირო შემოქმედებითი სემინარი, რომელიც სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საორგანიზაციო ბიურომ მოიწვია. მის მუშაობაში მონაწილეობს 150-ზე მეტი კაცი — მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, ყაზახეთიდან, საქართველოდან, აზერბაიჯანიდან და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან, აგრეთვე ბაშკირეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, მორდვეთის, ჩუვაშეთის, იაკუტიის ასს რესპუბლიკებიდან, ხაბაროვსკის მხარიდან, ასტრახანის, ვლადიმირის, გორკის, კალინინის, კურსკის, მაგადანის, ტამბოვის, ტულის, იაროსლავლისა და რუსეთის სფს რესპუბლიკის სხვა ოლქებიდან.

გახსნა რა სემინარი, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარის მოადგილემ დ. პ. გორიუნოვმა რწმენა გამოთქვა, რომ სემინარი უდიდეს სარგებლობას მოუტანს ნარკვევის განვითარებას გაზეთებში, განსაკუთრებით ადგილობრივ პრესაში.

პირველ დღეს მოსმენილ იქნა ჟურნალ „მოლოდაია გვარდიას" მთავარი რედაქტორის ილია კოტენკოს მოხსენება თემაზე: „ნარკვევის სიუჟეტი და კომპოზიცია". ეკონომიურ თემაზე ნარკვევის შესახებ მოხსენება გააკეთა მწერალმა-ჟურნალისტმა ევგენი კრიგერმა.

სემინარზე მოხსენებები გააკეთეს აგრეთვე გაზეთ „პრავდის" კორესპონდენტმა პავლე კუზნეცოვმა — „ნარკვევი — პორტრეტი" და „ლიტერატურნაია გაზეტას" სარედაქციო კოლეგიის წევრმა ევგენი რიაბჩიკოვმა — „მგზავრის ნარკვევი". თავიანთი მუშაობის გამოცდილება გააცნეს მსმენელთ მწერლებმა-ჟურნალისტებმა ტატიანა ტესმა და ივანე ვინიჩენკომ.

სემინარის მონაწილენი მოისმენენ აგრეთვე მოხსენებებს: საზღვარგარეთული ნარკვევის შესახებ, რასაც წაიკითხავს გაზეთ „ლიტერატურა ი ჟიზნის" რედაქტორი ვიქტორ პოლტორაცკი, მეცნიერულ-პოპულარული ნარკვევის შესახებ — წაიკითხავს მწერალი ოლეგ პისარჟევსკი და მორალურ-ეთიკური თემის ნარკვევზე — წაიკითხავს მწერალი-ჟურნალისტი კონსტანტინე ლაპინი.

სემინარზე გაკეთდება იმ ნარკვევების მიმოხილვა, რომლებიც გამოქვეყნებულია გაზეთებში: „იზვესტიაში", „ტრუდში", „სოვეტსკაია როსიაში", „ლენინგრადსკაია პრავდაში", „ვოლჟსკაია კომუნაში", „კაზახსტანსკაია პრავდაში", „სოვეტსკაია სიბირში".

სემინარის მონაწილენი ინახულებენ გაზეთ „პრავდის" რედაქციასა და სტამბას. სემინარი ოთხ დღეს გაგრძელდება.

(საკდესი).

## ამიერკავკასიის ხალხთა მუსიკალური გაზაფხული



სურათზე: სცენა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლიდან „დაუპატიჟებელი სტუმრები".

### ფესტივალის დღიური

22 მაისს, ამიერკავკასიის ხალხთა „მუსიკალური გაზაფხულის" მესამე დღეს, საღამოს თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა სიმფონიური მუსიკის კონცერტი. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა ზაქარია ხუროძის დირიჟორობით და საქართველოს სახელმწიფო კაპელამ (მხატვრული ხელმძღვანელი ჯანსუღ კახიძე, სოლისტები რესპუბლიკის სახალხო არტისტი თ. ბახტაძე და ჯ. ბალანჩივაძე).

კონცერტზე შესრულებულ იქნა შ. მშველიძის სიმფონიური პოემა „მინდია", ა. ბალანჩივაძის მესამე საფორტეპიანო კონცერტი ორკესტრთან ერთად და ა. ჩიმაკაძის კანტატა „ქართლის გული".

23 მაისს დილით ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრმა მაყურებელს უჩვენა ა. ბუკიას ოპერა „დაუპატიჟებელი სტუმრები".

იმავე საღამოს დიდი წარმატებით ჩაიარა ა. მაჭავარიანის ცნობილმა ბალეტმა „ოტელომ" (დამდგმელი და მთავარი როლის შემსრულებელი ლენინური და სტალინური პრემიების ლაურეატი ვახტანგ ჭაბუკიანი).

### წარუშლელი შთაბეჭდილებანი

ამიერკავკასიის ხალხთა „მუსიკალურ გაზაფხულს" თბილისში ჩამოვუსწარი.

ქართულ მუსიკას კარგად არა, მაგრამ ნაწილობრივ მაინც ვიცნობდი. ჩვენში, ბულგარეთში, სოფიის რადიო ხშირად გადასცემს ნაწყვეტებს ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისიდან".

„მუსიკალური გაზაფხულის" დღეებში კი საშუალება მომეცა უფრო ახლოს გავცნობოდი შესანიშნავი ქართველი ხალხის მდიდარ მუსიკალურ კულტურას. ახლა ვგრძნობ, რაოდენ დიდ ხელოვნებას არ ვიცნობდი და რა სულიერი სიმდიდრით ვბრუნდები სამშობლოში.

წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ქართულმა მუსიკამ. განსაკუთრებით მინდა შევჩერდე სიმფონიურ და კამერულ კონცერტებზე. ოთარ თაქთაქიშვილის მეორე სიმფონია მთელი ქართული მუსიკალური კულტურის დიდი გამარჯვებაა. კომპოზიტორი სცილდება ეროვნულ ჩარჩოებს და ყველასთვის ერთნაირად გასაგები, ამაღელვებელი ხდება. კომპოზიტორ ს. ცინცაძის ნაწარმოებებში გრძნობა შერწყმულია მაღალ გონიერებასთან და ყოველ მის მუსიკალურ ბგერაში თითქოს მხურვალე ქართული მზის სხივებია ჯადოსნურად ჩაქსოვილი. მე უეჭველად წავიღებ ბულგარეთში ამ შესანიშნავ ნაწარმოებებს, მათ მოისმენენ ჩემი თანამემამულენი.

ძალიან მომეწონა ანდრია ბალანჩივაძის მესამე საფორტეპიანო კონცერტი ორკესტრთან ერთად და არჩილ ჩიმაკაძის კანტატა „ქართლის გული".

არ შემიძლია მადლობა არ ვუძღვნა კომპოზიტორ შალვა მშველიძეს იმ დიდი სიამოვნებისათვის, რომელიც მისმა სიმფონიურმა პოემამ „მინდიამ" მომანიჭა. შ. მშველიძე შარშან ბულგარეთში იყო სტუმრად. ჩვენ ახლა უკვე ნაცნობები შევხვდით ერთმანეთს და ძალიან მიხარია, რომ გავიცანი მისი მომხიბვლელი მუსიკაც. ერთ საღამოს შალვა მშველიძემ ლეგენდა მიამბო, ბულგარეთში ყოფნის დროს გაგონილი. ბულბული და ქალიშვილი ერთმანეთს სიმღერაში შეეჯიბრნენ. თუ ქალიშვილი აჯობებდა, ბულბულის ათვის ფრთები უნდა შეეჭრა და თუ ბულბული სძლევდა ქალიშვილს, ორივენი რომელილაც მზიურ ქვეყანაში უნდა გადაკარგულიყვნენ. ვისმენდი ამ ლეგენდას და თავი იმ მზიურ ქვეყანაში მეგონა.

ჩემს მეხსიერებაში მარად დარჩება ლამაზი ბულგარული ლეგენდა, რომელიც პირველად საქართველოში მოვისმინე.

**ჟიულ ლევი,**
ბულგარელი კომპოზიტორი.

## ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ურხო კეკონენი მოსკოვში

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ურხო კეკონენმა, რომელიც 22 მაისს მოსკოვში ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მისი თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის მოწვევით, იმავე დღეს გაუკეთა ვიზიტი კრემლში კ. ე. ვოროშილოვსა და ვიზიტი ნ. ს. ხრუშჩოვს.

პრეზიდენტთან ერთად იყვნენ ფინეთის თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც მას ახლავან.

ვიზიტების დროს გაიმართა საუბრები, რომლებმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ნაშუადღევს ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ურხო კეკონენი და მისი თანმხლები ფინელი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები იყვნენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმში და გვირგვინი მიიტანეს. გვირგვინის ლენტს რუსულ და ფინურ ენებზე წარწერილი აქვს: „ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისაგან".

ამავე დღეს ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პ. ი. ჰიუნინენმა ვიზიტი გაუკეთა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს.

საღამოს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა სადილი გამართა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ურხო კეკონენის პატივსაცემად.

(საკდესი).

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საქალაქო საბჭოს დეპუტატებს აცნობებს, რომ სამშაბათს, 27 მაისს, მოწვეულია

**თბილისის მშრომელთა დეპუტატების მეექვსე მოწვევის საქალაქო საბჭოს მე-7 სესია.**

სესია გაიხსნება დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 8). დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე დილის ცხრა საათიდან.

**თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.**

## უკრაინის კომუნისტური პარტიის მე-40 წლისთავი

კიევი, 22 მაისი. (საკდესი). უკრაინის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება უკრაინის კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობის მოწვევის მე-40 წლისთავის შესახებ, რაც 1958 წლის 5 ივლისს სრულდება, და იმაზე, რომ ფართოდ აღინიშნოს ეს დიდი მოვლენა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებისა და მთელი უკრაინელი ხალხის ცხოვრებაში.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ უკრაინის კომუნისტური პარტიის ორგანიზატორი იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დამაარსებელი და ბელადი დიდი ლენინი. უკრაინის კომუნისტური პარტიის ისტორია განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიასთან და მისი შემადგენელი ნაწილია.

## კონკურსი საუკეთესო ერთმოქმედებიანი პიესისათვის

ლენინური კომკავშირის 40 წლისთავის გამო სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ, საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მწერლების კავშირმა გამოაცხადეს კონკურსი საუკეთესო ერთმოქმედებიანი პიესისათვის საბჭოთა ახალგაზრდობისა და კომკავშირის შესახებ. ეს უნდა იყოს ნაწარმოებნი საბჭოთა ახალგაზრდობის შრომის, სწავლის, დასვენების შესახებ, საბჭოების ქვეყნის ქალიშვილთა და ჭაბუკთა მაღალი მორალური თვისებების, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის, მშვიდობისათვის ბრძოლის შესახებ.

საუკეთესო ნაწარმოებებისათვის დაწესებულია სამი პრემია და სამი წამახალისებელი ჯილდო. (საკდესი).

## სოფლის მეურნეობის სამსახურში

საუბარი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგროქიმიის კათედრის პროფესორთან, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტთან **ა. მენაღარიშვილთან**

— უკანასკნელ წლებში, — განაცხადა „კომუნისტის" კორესპონდენტთან საუბარში პროფესორმა ა. მენაღარიშვილმა, — მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ღონისძიებებს ახორციელებენ მთელი სახალხო მეურნეობის, კერძოდ, სოციალისტური სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის. ამ საქმეში ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს აგროქიმიას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში ნათქვამია: „ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის გამოყენებულ უნდა იქნას აგრეთვე მინერალური ნედლეულის მდიდარი რესურსები: ფოსფორიტები, გოგირდი, კალიუმის მარილები, აპატიტები, ნატრიუმის სულფატი, სუფრის მარილი და სხვა სასარგებლო წიაღისეული".

ყველაფერი ეს ძვირფასია სოფლის მეურნეობისათვის. ამიტომ ჩვენი მეცნიერების გადაუდებელი ამოცანაა სრულფასოვნად ჩააყენოს აგროქიმია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლის სამსახურში. სწორედ ამ საკითხზე მუშაობს ინსტიტუტის აგროქიმიის კათედრა. იგი ძირითადად მუშაობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების განაყოფიერების სისტემის დამუშავებაზე. ცდები წარმოებს მუხრანში — სასწავლო-საცდელ მეურნეობაში (ხეხილი, სიმინდი, ხორბალი, საკვები კულტურები და სხვ.). ამ მიზნით ვიყენებთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ნიადაგებს. ვარკვევთ მათ ნაყოფიერებას და სასუქების მოთხოვნილებას.

ცნობილია, რომ უხვი და მყარი მოსავლის მიღებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მინერალური და ორგანული სასუქების ერთდროულ გამოყენებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აზოტოვანი და ფოსფორიანი სასუქები. რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნიდან ვიღებთ სოფლის მეურნეობისათვის ამონიუმის გვარჯილას, ნატრიუმის გვარჯილას. ახლო მომავალში ამ ქარხანამ უნდა მოგვცეს თხევადი აზოტოვანი სასუქები. დღის წესრიგში დგას ფოსფორიანი სასუქების ადგილობრივ დამზადების საკითხი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1965 წლისათვის დაგვჭირდება რამდენიმე ათას ტონაზე მეტი სუპერფოსფატი, წინ სერიოზული სამუშაოა. უნდა გადაწყდეს საქართველოში კომბინირებული აზოტ-ფოსფორიანი სასუქების დამზადების საკითხი. ამისათვის საჭირო იქნება სხვა რესპუბლიკებიდან შემოვზიდოთ ფოსფორიტები ან აპატიტები და დავამუშაოთ რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში მიღებული აზოტის მჟავით. ამის შედეგად მივიღებთ მაღალეფექტიან კომბინირებულ აზოტფოსფორიან სასუქს. ამ საქმისათვის აუცილებელია გამოვიყენოთ ჩვენს რესპუბლიკაში გამოვლინებული ნედლეული (გოდოგნის ფოსფორიტები).

კათედრამ დაამუშავა სარწყავ პირობებში ორგანულ-მინერალური ნარევების გამოყენების საკითხი. ეს ნარევი დიდ ეფექტს იძლევა განსაკუთრებით სარგავ კულტურებში. მისი გამოყენება ბუდნებში უნდა მოხდეს მცირე რაოდენობით (ერთ ბუდნაში 600 გრამი). ასევე დიდმნიშვნელოვანია მიკროსასუქების გამოყენება. დადგენილია, რომ ბორის სასუქი მოსავლიანობას ზრდის 20-25 პროცენტით, ხოლო მანგანუმიანი სასუქი შაქრის ჭარხლის მოსავალს ჰექტარზე დამატებით აღიდებს 50 ცენტნერამდე.

— აღსანიშნავია, — ამბობს პროფესორი მენაღარიშვილი, — რომ პარკოსნების მწვანე სასუქად გამოყენებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ბაქტერიულ სასუქს — ნიტრაგინს. იგი ჰექტარზე უნდა შევიტანოთ 1 კილოგრამი. გარდა ამისა, სუბტროპიკული კულტურების მოსავლიანობის გადიდების სერიოზული პირობაა ტორფის სასუქები. ტორფი საქართველოში დიდი რაოდენობით მოიპოვება. მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე მოქმედი ქარხნები ვერ უზრუნველყოფენ ამ სასუქებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

ფრიად მნიშვნელოვანია ადგილობრივი ნაკელი. მისი შენახვისა და გამოყენების ღონისძიებები დასახა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. ბევრგან კარგად მოაწყეს ნაკელსაცავები და საწუნწუხეები. ასეა, მაგალითად, მცხეთის რაიონის წილკნის კოლმეურნეობაში და სხვ. მაგრამ ზოგან ამ საქმეს სერიოზული ყურადღება არ ექცევა.

სასუქების რაციონალურად გამოყენების მიზნით ინსტიტუტი 1954 წლიდან ამზადებს აგროქიმიკოსთა კადრებს. ყოველწლიურად უშვებს 25-30 აგროქიმიკოსსა და ნიადაგმცოდნეს. საქმე ის არის, რომ ეს კადრები სწორად, დანიშნულებისამებრ იქნან გამოყენებული. დიდი მუშაობა მართებთ რაიონებში შექმნილ აგროქიმიურ ლაბორატორიებს. მათი მოვალეობაა კოლმეურნეობებში აწარმოონ ნიადაგების აგროქიმიური გამოკვლევა, უნარიანად უხელმძღვანელონ სასუქების მიღების, შენახვის, სწორად გამოყენების საქმეს. დღემდე ამ ლაბორატორიებს მუშაობის მრავალი ნაკლი აქვს. ეს იმით აიხსნება, რომ ამ მნიშვნელოვან უბანს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო. დროა ეს საქმე ითავონ რაისაბჭოების აღმასკომებთან შექმნილმა სოფლის მეურნეობის ინსპექციებმა.

ჩვენი ვალია ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ აგროქიმიური მეცნიერება, ფართოდ დავნერგოთ ყოველივე ახალი, პროგრესული წარმოებაში, რათა შევქმნათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მშრომელთა წერილები რედაქციას

## დავაარსოთ პენსიონერთა კლუბი

ამას წინათ გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა პენსიონერ ა. ელიაძის წერილი, რომელშიც ავტორმა დააყენა საკითხი სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებთან პენსიონერთა საზოგადოებრივი მუშაობის ჯგუფების ჩამოყალიბების შესახებ. ეს უეჭველად დროული და საჭირო წინადადებაა.

ამ წერილთან დაკავშირებით გვინდა გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრებანი პენსიონერთა კულტურული დასვენებისა და გართობის ორგანიზაციის საკითხზე. ომისა და შრომის ვეტერანები: მუშები, ინჟინრები, წარმოების ნოვატორები, სამხედრო პირები, მასწავლებლები, ექიმები, ხელოვნების მუშაკები, საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურეები, რომლებმაც სამშობლოს წინაშე პირნათლად მოიხადეს ვალი და ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ პენსიაზე გადავიდნენ, მოხუცებულობის წლებს უზრუნველად და ტკბილად ატარებენ. იმისათვის, რომ კარგად მოეწყოს ამ ვალმოხდილ ადამიანთა კულტურული დასვენება და გართობა, ვფიქრობთ, კარგი იქნება თბილისში დაარსდეს სპეციალური კლუბი პენსიონერებისათვის. ეს გარემოება უნდა გაითვალისწინონ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ, რომლებიც მოვალენი არიან გადადგან პრაქტიკული ნაბიჯი ამ საქმის მოსაგვარებლად.

რაც შეეხება საქართველოს სარეწაო საბჭოსა და დამზღვევი საბჭოს ინვალიდ პენსიონერებს, საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობაში მათი ჩაბმის მიზნით საჭირო იქნება სარეწაო საბჭოსა და დამზღვევი საბჭოს კულტურის ცენტრალურ სახლთან შეიქმნას დასვენებისა და გართობის კუთხე სპეციალური პროფილით, ისე როგორც ეს ლენინგრადსა და ოდესაში განახორციელეს.

ჩვენი აზრით, საჭიროა ჩამოყალიბდეს აგრეთვე პენსიონერთა საქალაქო საბჭო. რუსეთის ცალკეულ ქალაქებში პენსიონერთა შორის მუშაობის ასეთი ორგანოები უკვე შექმნეს, რამაც კარგი შედეგი გამოიღო. მაგალითად, ქალაქ პერვოურალსკში (სვერდლოვსკის ოლქი) ჩამოყალიბებულია ომისა და შრომის ვეტერანების საბჭო, რომელსაც ხუთი სექცია აქვს. ერთი სექცია ზრუნავს საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობისათვის, მეორე — ქალაქში სანიმუშო წესრიგის დამყარებისათვის, მესამე — ქალაქის გამწვანებისათვის, მეოთხე სექცია მუშაობს სასკოლო-საშეფო ორგანიზაციებთან, ხოლო მეხუთე სექცია ხელმძღვანელობს საზოგადოებრივი კონტროლიორების მუშაობას. ჩვენშიც დაახლოებით ასე შეიძლება მოეწყოს პენსიონერთა საქალაქო საბჭოს მუშაობა.

**მ. ტრაპაიძე,**
კულტურის ცენტრალური სახლის ინსტრუქტორი კულტ-მასობრივი მუშაობის დარგში,

**ი. მჭედლიშვილი,**
ომის ინვალიდი, პენსიონერი.

## სამართლიანი მოთხოვნა

სამხრეთ ოსეთის მშრომელებს საშუალება ჰქონდათ რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთები თავის დროზე — გამოსვლის დღესვე მიეღოთ ხოლმე. მაგრამ უკანასკნელ დროს, განსაკუთრებით კი მიმდინარე წლის დასაწყისიდან, ჟურნალ-გაზეთები რატომღაც მხოლოდ მეორე დღეს მოდის როგორც „სოიუზპეჩატის" კიოსკებში გასაყიდად, ისე ხელისმომწერთათვის, ხოლო კვირის გაზეთების წაკითხვა ჩვენთვის მხოლოდ სამშაბათს არის შესაძლებელი.

რომ იტყვიან „ყურის ძირშიაო", სწორედ ისეა ჩვენი საოლქო ქალაქი სტალინირი თბილისთან, სულ ორიოდე საათის გზაა. ამიტომ მკითხველები სამართლიან საყვედურს გამოთქვამენ ჟურნალ-გაზეთების დაგვიანებით მიღების გამო.

ასევე სამართლიანია გაზეთის მკითხველთა უკმაყოფილება იმის გამო, რომ საღამოს გაზეთი „თბილისი" სრულიად არ მოდის ოლქში „სოიუზპეჩატის" კიოსკებში გასაყიდად.

ჩვენი ოლქის მკითხველები მოითხოვენ, რომ დაუგვიანებლივ, გამოსვლის დღეს იღებდნენ რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებს.

**ი. შერაზადიშვილი,**
საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი.

## უყურადღებოდ მიტოვებული შესახვევი



ქ. ქუთაისში ამ უკანასკნელ ხანს ბევრი რამ გაკეთდა ქუჩებისა და მოედნების კეთილმოწყობისათვის. ულამაზეს მაგისტრალად იქცა გორის ქუჩა, რომლის შემდგომი გამშვენიერებისათვის ამჟამადაც დიდი მუშაობა წარმოებს. მაგრამ იქვე, გორის ქუჩის მახლობლად, ამ ქუჩასთან დაკავშირებული ქუჩები და შესახვევები სრულებით უყურადღებოდ არის მიტოვებული.

განსაკუთრებით გაუვალია ლენინაკანის ქუჩის პირველი შესახვევი. აქ არა თუ ტრანსპორტის, ფეხით მოსიარულეთა მოძრაობაც კი ჭირს. ქუჩის ორღობეებსა და ღრმულებში გაუვალი ტალახი და წუმპე დგება, ამასთან გამეფებულია ანტისანიტარია. ყოველივე ამის გამო მცხოვრებლებმა დახმარებისათვის არაერთხელ მიმართეს საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილებას, მაგრამ საქმე დაპირებებს იქით არ წასულა.

რა სამარცხვინოც უნდა იყოს ეს ფაქტი, და ამ წერილთან დართულ ფოტოსურათზეც ჩანს, რომ კომუნალური მეურნეობის განყოფილების ხელმძღვანელებს დღემდე არ უფიქრიათ აგრეთვე აღნიშნული შესახვევის ელექტროგანათებაზე.

ეს სურათი გადაღებულია დღისით, მზისით... ადვილი წარმოსადგენია, რა არის აქ ღამით, ისიც წვიმიან ამინდში.

ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და მისმა კომუნალური მეურნეობის განყოფილებამ დროულად უნდა მიხედონ აღნიშნულ შესახვევს.

**შ. გვენეტაძე,**
ქ. ქუთაისის ლენინაკანის ქუჩის I შესახვევის მცხოვრები.

## მშრომელთა წერილებს ეხმაურებიან

ქუთაისის რაიონის სოფელ ზარათის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ზ. ტურაბელიძეს სისტემატური ლოთობისა და უხეში საქციელის გამო ავტორიტეტი აქვს დაკარგული სოფელში. ამას წინათ მან უკანონო გზით 1.020 მანეთი გამოხძალა კოლმეურნეობას, — გვწერდა სოფლკორი.

შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნული ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. საქართველოს კპ ქუთაისის რაიკომის ბიუროს რჩევით კოლმეურნეობის საერთო კრებამ ზ. ტურაბელიძე გაათავისუფლა თანამდებობიდან. მასვე დაეკისრა უკანონო გზით მიღებული 1.020 მანეთის გადახდა.

* * *

სოფლკორი გვწერდა, რომ ადიგენის რაიონის სოფელ ზარზმაში ყურადღება არ ექცევა კულტურულ-მასობრივ მუშაობას. იშვიათად იმართება ლექცია-მოხსენებები, არ უჩვენებენ კინოსურათებს, ცუდად მუშაობს სამკითხველო, უმოქმედობას იჩენენ აგიტატორები.

პარტიის ადიგენის რაიონულმა კომიტეტმა, რომელსაც სოფლკორის წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა, რედაქციას აცნობა, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.

კულტურულ-მასობრივ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამო რაიკომის ბიურომ საყვედური გამოუცხადა საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივანს ო. გავაშელს, ხოლო მლაშეს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს მ. გობეჯიშვილს და ადიგენის რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგეს ვ. კვირიკაშვილს მიუთითა.

რაიკომის ბიურომ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი სოფელ ზარზმის მოსახლეობის კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

* * *

ჩვენი გაზეთის მკითხველები გვწერდნენ, რომ ფოთის სავაჭრო ორგანიზაციებში უხეშად არღვევენ ვაჭრობის წესებს. სავაჭრო ქსელში მოკალათებული არიან პასუხისგებაში ნამყოფი პირები, რომლებიც დანაშაულებრივ საქმიანობას ეწევიან.

გაზეთის სიგნალის შემდეგ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ შეისწავლა ფოთის სავაჭრო ქსელში შექმნილი მდგომარეობა და წერილში მოყვანილი ფაქტები სამართლიანად ცნო.

ვაჭრობის წესების უხეში დარღვევისათვის სამუშაოდან მოხსნილია 7 კაცი, 18 მუშაკს სხვადასხვა ადმინისტრაციული სასჯელი დაედო.

სუსტი კონტროლისა და მოუქნელი ხელმძღვანელობისათვის სასტიკი საყვედური გამოეცხადა ფოთვაჭრობის დირექტორის მოადგილეს ამხ. მ. მირილაშვილს, ხოლო ფოთვაჭრობის დირექტორს ამხ. ი. იზორიას გაფრთხილება მიეცა.

დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი ფოთის სავაჭრო ორგანიზაციებში შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

## შენიშვნები და წინადადებანი

### წერილების მიმოხილვა

★

მოწინავეთა გამოცდილების დანერგვა წარმოებაში მნიშვნელოვანი პირობაა ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავია ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობის მუშაობა.

— ეს კოლმეურნეობა,—გვწერს სოფლკორი **ა. საჯაია**,—მოწინავეა რაიონში. მას უნარიანად ხელმძღვანელობს ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ა. როგავა. ამას წინათ რუხელთა გამოცდილების გაზიარების მიზნით ამავე რაიონის სოფელ განმუხურში მოეწყო კოლმეურნეთა კრება, რომლის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ა. როგავას მოხსენება იმის შესახებ, თუ რა გზით და როგორ აღწევენ რუხელები წარმატებებს.

რუხის კოლმეურნეობამ დახმარების ხელი გაუწოდა განმუხურელებს და საჩუქრად გადასცა 5 მეწველი ძროხა, 10 ცხენი, 10 დედალორი, 10 კულტივატორი, საკვები ბალახის თესლი. ამ დახმარების პასუხად განმუხურელებმა ვალდებულება იკისრეს საუკეთესოდ იმუშაონ კოლმეურნეობაში, მკვეთრად გაადიდონ მოსავლიანობა, მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

— დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს კურდღლის მოშენებას, მისი ხორცის წარმოების გადიდებას. კვების პროდუქტებით ქალაქ თბილისის მოსახლეობის დაკმაყოფილების მიზნით სოფლკორი **ზ. ფილაშვილი** წინადადებას აყენებს თბილისის ახლოს მოეწყოს კურდღლის მოშენება.

ხე-ტყის დამამზადებელი ორგანიზაციების გამსხვილებამ საშუალება მოგვცა საგრძნობლად გაუმჯობესებულიყო ტყის დაცვის საქმე. ახლა სერიოზული სამუშაო აქვს გეგეჭკორის სატყეო მეურნეობას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საკურორტო მნიშვნელობის ტყეებს. ამ მხრივ დიდი ყურადღება ექცევა კურორტ ლებარდეს გასწვრივ მდებარე ტყეებს, რომლებსაც ოთხას ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავთ. ეს ტყეები პირველი ჯგუფის ტყეებს მიეკუთვნებიან.

ეს მდგომარეობა აყენებს ამოცანას: ასეთ ადგილებში ტყის მოჭრა მერქნით სარგებლობის გაზრდას კი არ უნდა ემსახურებოდეს, არამედ ტყის კურორტოლოგიური და ესთეტიკური თვისებების გაუმჯობესებას. ამიტომ მკაცრად უნდა იქნას დაცული საკურორტო ტყის ჭრის წესები. ამით უზრუნველვყოფთ ტყეების ბუნებრივ განახლებას.

ბევრ ასეთ საჭირბოროტო, მოსაგვარებელ საკითხზე გვწერენ გეგეჭკორის სატყეო მეურნეობის დირექტორი **ტ. რუხაძე** და ლებარდეს სატყეოს უფროსი **შ. გაბესკირია**.

ჩვენი გაზეთის მკითხველი **შ. ზაქარიაძე** მახარაძის რაიონიდან გვატყობინებს: ტრადიციად გადაიქცა მეტი ჩაის ფოთლის მიღებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მასობრივად მოწყობა. საინტერესოა სოფელ განახლების კოლმეურნეობა „უკრაინის" წევრის, სოციალისტური შრომის გმირის ზინა ბაჯელიძის თაოსნობა. მან შარშან 0,5 ჰექტარზე მოკრიფა 5.500 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. წელს ვალდებულება აქვს ნაკისრი მოკრიფოს 7.000 კილოგრამი ნედლეული.

— ჯერ კიდევ მარტის ბოლო რიცხვებში, — გვწერს ორჯონიკიძის რაიონიდან აგრონომი **გ. ტაბატაძე**, — ზესტაფონის მტს-მა „დტ-54" მარკის 2 ახალი ტრაქტორი მიჰყიდა კიცხისა და ლახუნდარის კოლმეურნეობებს. მაგრამ ეს ტრაქტორები ოცი დღის განმავლობაში ვერ გამოიყენეს იმის გამო, რომ გუთნები ვერ იშოვნეს. ამან კოლმეურნეთა სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია. გუთნებით კოლმეურნეობების მომარაგების საქმეს სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

— დაგეგმვის მიხედვით ხიბულის ჩაის საბჭოთა მეურნეობას უნდა ჰქონდეს 550 ჰექტარი ფართობი, აქედან ჩაისათვის — 350 ჰექტარი. მაგრამ ყველა ფართობი ჯერ არ არის ათვისებული. მეურნეობაში შეიძლება აგრეთვე გაშენდეს ხეხილი, ვენახი. ვფიქრობთ, საჭიროა ეს ღონისძიება აისახოს ხარჯთაღრიცხვაში. ამ საკითხის მოგვარებაში უნდა ჩაერიოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო,—ასეთ წინადადებას აყენებს ხიბულის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პარტბიუროს მდივნის მოადგილე **ი. ლაშხია**.

უკანასკნელ ხანში „კომუნისტის" რედაქცია მკითხველებისაგან იღებს მრავალ წერილს ქიმიური მრეწველობის განვითარების საკითხებზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის დადგენილებასთან დაკავშირებით. ამ წერილებში მოთხრობილია ახალ შრომითს აღმავლობაზე, ღონისძიებებზე საქართველოში ქიმიისა და ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის, რაც დიდ როლს შეასრულებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მკვეთრად გადიდების საქმეში.

## მზრუნველობით არ ეკიდებიან

სტუდენტთა ქალაქში ცხოვრობს 2.500 სტუდენტი. სამწუხაროდ, მათი კულტურული მომსახურება ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ დაყენებული. სტუდქალაქის სამმართველომ სტუდენტების უკეთ მომსახურების მიზნით ჯერ კიდევ 1956 წელს დააყენა საკითხი სამკერვალო, სადალაქო და ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნოები გადაცემულიყო არტელ „საყოფაცხოვრებო მომსახურების" (ხელმძღვანელი ამხ. შვარცერი) განკარგულებაში. აღნიშნულმა ორგანიზაციამ გასული წლის დასაწყისშივე ყოველგვარი საბუთების გაფორმებით ჩაიბარა ეს ობიექტები. მალე ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის ფასადზე გაჩნდა ასეთი წარწერა „საყოფაცხოვრებო სახელოსნო, სამკერვალო, სადალაქო, ფეხსაცმლის, ქუდების და ქალის წინდების შემკეთებელი სახელოსნო".

სტუდენტებმა იფიქრეს გვეშველაო, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. სახელოსნოები ვერ აკმაყოფილებენ მათ მოთხოვნილებებს. მაგალითად, სადალაქო იღება 10 საათზე, მაშინ როცა ღია უნდა იყოს არა უგვიანეს 9 საათისა. სრულებით არ წარმოებს ქუდების შეკერვა და ქალის წინდების შეკეთება. მართალია, სადალაქო შეაკეთეს, მაგრამ მალე ჭერი ჩამოინგრა. სადალაქოს გვერდით მოაწყეს ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნო, საიდანაც ჩაქუჩების ისეთი კაკუნი გამოდის, რომ სანამ გაიპარსებით, ხმაურით ყური გამოგეჭედებათ.

ყოველივე ეს სტუდენტების სამართლიან საყვედურს იწვევს.

**გ. ანდღულაძე,**
სტუდქალაქის პარტბიუროს მდივანი.

## რატომ დაგვიკეტეს გადასასვლელი?

ამ უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა ლანჩხუთის რაიონის სოფლების კეთილმოწყობისათვის, საგრძნობლად ამაღლდა მშრომელთა კომუნალური და კულტურული მომსახურების დონე. მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

სოფელ ქვემო ეწერში კვლავ ცუდი, კეთილმოუწყობელი გზებია. შარშან მოსახლეობამ და მეტწილად ჯურუყვეთის კოლმეურნეობის მეხუთე ბრიგადის წევრებმა შეაკეთეს და წესრიგზე მოიყვანეს გზა, რომლითაც ისინი რკინიგზის ლიანდაგის გადაღმა (ჩრდილოეთით) საყანე მინდვრებში და ჩაის პლანტაციებში დადიოდნენ სამუშაოდ. სამწუხაროდ, რკინიგზის სამტრედიის განყოფილებამ წელს თებერვალში რატომღაც დაკეტა ლიანდაგზე გადასასვლელი რკინიგზის ამ უბანზე და ამით კეთილმოწყობილი სასოფლო გზა მოსახლეობისათვის უსარგებლო გახდა.

გადასასვლელის დაკეტვით დიდი სიძნელეები შეექმნათ ჯურუყვეთისა და ეწრის კოლმეურნეობებს, მოსახლეობას. კოლმეურნეებს 8-10 კილომეტრის შემოვლა უხდებათ, რომ რკინიგზის გადაღმა ჩაის პლანტაციებში საყანე ფართობებსა და საძოვრებზე მივიდნენ. ეს მოსახლეობის კანონიერ უკმაყოფილებას იწვევს.

გადასასვლელის გახსნის საკითხი არაერთხელ დაისვა ზემდგომ ორგანოებში, მაგრამ ამაოდ. უნდა აღინიშნოს, რომ რკინიგზის ამ უბანზე ლიანდაგი ლარივით სწორია და მხედველობას არავითარი დაბრკოლება არ ეღობება. ამასთან მდინარეზე, რომელიც გადასასვლელთან ლიანდაგის გაყოლებით მიედინება, მოსახლეობამ გააკეთა კაპიტალური სამანქანო ხიდი, რომელიც ამჟამად გამოუყენებელია.

საკითხავია, რა მოტივით ხელმძღვანელობდნენ რკინიგზის სამტრედიის განყოფილების მესვეურები, როცა ამ გადასასვლელს კეტავდნენ და ორი სოფლის მოსახლეობას თავისი სასოფლო გზით სარგებლობის საშუალებას უსპობდნენ?

**კ. ჭყონია,**
ჯურუყვეთის კოლმეურნეობის წევრი,

**ბ. გოგუა,**
ჯურუყვეთის სასოფლო საბჭოს დეპუტატი, კოლმეურნე,

**გ. გოგუა,**
ჯურუყვეთის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი, სასოფლო საბჭოს დეპუტატი.

## დასაგმობი უსულგულობა

ვცხოვრობ ქ. ტყიბულში სტალინის ქუჩის № 59 სახლში. წლების განმავლობაში გვაწუხებს ერთი გარემოება: ჩვენი სახლის გვერდით კუსტარული პურის საცხობია, რომლის საკვამლე მილები ისე დაბალია, რომ საცხოვრებელი სახლის მეორე სართულის ფანჯრებსაც ძლივს სწვდება.

საცხობის ღუმელებში ცეცხლის დანთებისთანავე საშინელი მხრჩოლავი კვამლი ამოდის და არემარეს წამლავს. საკვები პროდუქტებისა და თეთრეულის გაფუჭების შიშით ვერასოდეს ფანჯრები და კარები ვერ გაგვიღია, ოთახის ჰაერი ვერ გაგვინიავებია.

ჩვენ არა ერთხელ ვთხოვეთ პურის საცხობის ხელმძღვანელებს აემაღლებინათ საკვამლე მილები, მაგრამ ამაოდ. ჩვენს თხოვნას ყურადღებას არ აქცევენ, ამ ადვილად მოსაგვარებელ საქმეს არ აკეთებენ.

**ს. არსენიძე,**
**დ. არსენიძე,**
№ 59 სახლის მობინადრენი.

## მხოლოდ დაპირება

26 კომისრის რაიონში მდებარე მთისძირის ქუჩა თავისი ლამაზი სახლებითა და ეზოებით სიამოვნებას ჰგვრის მნახველს. მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ მოუწყობელია. უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში რაისაბჭოს აღმასკომს და ქალაქის სხვა შესაბამის ორგანოებს თითქმის არაფერი გაუკეთებიათ მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის. ჯერ-ჯერობით გადაუჭრელია ჩვენს ქუჩაზე წყლის გაყვანის საკითხი. აბა წარმოიდგინეთ კილომეტრნახევარზე დაშორებული წყალი, მაღაზიები, და მაშინ სამართლიანად ცნობთ ჩვენს უკმაყოფილებას.

ნუთუ შეუძლებელია ჩვენს ქუჩაზე პურისა და სურსათ-სანოვაგის მაღაზიების გახსნა, წყლის გაყვანა? ამის მოგვარებას ქალაქის საბჭო ოთხი წელია გვპირდება, მაგრამ დაპირება შეუსრულებელია.

**გ. ზურაბიშვილი,**
**შ. ბოჭორიძე,**
მთისძირის ქუჩის მცხოვრებნი.

## მეტი ყურადღება მოღვაწეთა ძეგლებს

თბილისის ბაღებს, მოედნებსა და ქუჩებს ამშვენებს დიდი რუსი მწერლების — პუშკინის, გოგოლის, გრიბოედოვის, ქართველი მეცნიერების — პეტრე მელიქიშვილის, ივანე ჯავახიშვილის და სხვა დიდ მოღვაწეთა ძეგლები. მათ შორის ბევრი კარგად არის დაცული, ზოგი კი სრულიად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

კომუნარების ბაღის მთავარ შესასვლელთან (რუსთაველის პროსპექტის მხრიდან) თვალსაჩინო ადგილას დგას ე. ნინოშვილის სკულპტურული ძეგლი. ძეგლის მთავარი კორპუსი არქიტექტურულად გაფორმებულ, ექვსი ბრტყელი ქვისაგან შემდგარ პოსტამენტზეა; აქედან ოთხი — ატმოსფერულ მოვლენათა გავლენით დეფორმირებულია, ქვები სამ ადგილას ერთმანეთს დაშორებულია. ე. ნინოშვილის ძეგლის ქვებს მთელ პერიმეტრზე სხვადასხვა ფერის ლაქები გაუჩნდა.

ნ. ვ. გოგოლის ძეგლი კომუნარების ბაღში დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, მაგრამ მის გარშემო ტერიტორია გამწვანებული არ არის. ძეგლის ფასადს დასათვალიერებლად მისასვლელი არა აქვს. ძეგლის ქვები საჭიროებენ მორუხო-მოყავისფრო ლაქებისაგან გაწმენდას და გაპრიალებას. ამავე ბაღში ძალიან ცუდად არის დაცული საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების ერთ-ერთი ხელმძღვანელის ბორის ძნელაძის ძეგლი. ძეგლის მთავარ კორპუსზე, რომელზეც ბ. ძნელაძის ფიგურა დგას, უამრავი შავი ლაქაა. მოძველებულ ბათქაშს მრავალი ბზარი აქვს. ძეგლის წარწერა სულ არა ჩანს, ხოლო ხრახნები, რომლებითაც მიმაგრებულია მარმარილოს ფილა წარწერით, დაჟანგულია. დროა ძეგლის კორპუსი მოპირკეთდეს არა ბათქაშით (რომელიც მალე ფუჭდება), არამედ მარმარილოთი, რაც ძეგლს უფრო დასრულებულ მხატვრულ სახეს მისცემს. საკვირველია, მაშინ, როცა კომუნარების ბაღს გაუკეთეს მარმარილოს გალავანი, რატომ დაივიწყეს ბ. ძნელაძის ძეგლის მარმარილოთი შემოსვა, ეს ხომ შექმნიდა გარკვეულ ანსამბლს, რაც უთუოდ გააძლიერებდა ძეგლის მხატვრულ იერს.

ა. ჯაფარიძის სახელობის სკვერში, საბჭოს ქუჩაზე, დგას გამოჩენილი რევოლუციონერის ალიოშა (პროკოფი) ჯაფარიძის ძეგლი, მისი მხატვრული კომპოზიცია მეტყველია. სამწუხაროდ, ძეგლზე წარწერილი არ არის ა. ჯაფარიძის დაბადებისა და ტრაგიკულად დაღუპვის თარიღი.

ელბაქიძის დაღმართზე პატარა სკვერში დადგმულია როზა ლუქსემბურგის ძეგლი, იგი კარგ მდგომარეობაშია, მაგრამ წარწერა არა აქვს. ვ. ი. ლენინის ქუჩის დასაწყისში აღმართულია რუსთაველის მონუმენტი. სამწუხაროდ, არც ეს ძეგლია სათანადოდ დაცული და შენახული. ძეგლის მატერიალური ნაწილი კარგად არ არის შერჩეული, „ვეფხისტყაოსნის" გმირების ბარელიეფს ღია ყავისფერი დაედო. ერთ-ერთ ფიგურაზე ღრმა ბზარებია, ხოლო ძეგლის მთავარი კორპუსის ერთ ქვაზე შავი ლაქა გაჩნდა. ქვების წიბოების გადასაბმელად აღდგენილ უნდა იქნას მხატვრული და გეომეტრიული ხლართი. როგორც ცნობილია, კვარცხლბეკის ანფასი კომპოზიციურად გადაწყვეტილია ხახადაღებული ვეფხვების თავებით, საიდანაც წყალი უნდა გადმოდიოდეს. წყალი არ გადმოდის, ერთ ვეფხვს კი სამი კბილი ჩატეხილი აქვს. ყველა ეს დეფექტი ძალიან ამცირებს მონუმენტის შთამბეჭდავ ძალას.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სკვერში ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეების ზ. ფალიაშვილის, ვ. სარაჯიშვილის და კ. მარჯანიშვილის საფლავებია. მათი გარდაცვალების შემდეგ უკვე ათეული წლები გავიდა, მაგრამ საფლავებზე არათუ ძეგლი, წარწერებიც კი არ არის. ქ. გორში ი. ჭავჭავაძის სკულპტურული ბიუსტია, მის ტერიტორიაზე არ არის გაშენებული ყვავილნარი. ბიუსტის არქიტექტურული კომპოზიცია აღდგენას მოითხოვს, ბიუსტი — ლაქებისაგან გაწმენდას და გაპრიალებას.

თბილისის ერთ-ერთ ულამაზეს უბანში მთაწმინდაზე მოწყობილია საქართველოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი. აქაც ყველაფერი რიგზე არ არის. ასე, მაგალითად, ცნობილი ქართველი პედაგოგის ი. გოგებაშვილის ძეგლის ბეტონის ჰორიზონტალურ ზღუდეს მთელ პერიმეტრზე ნაპრალები გაუჩნდა. ასევე ნაპრალები გაუჩნდა ვ. ბარნოვის ძეგლსაც. საერთოდ ეს ძეგლი თავისი ცენტრალური ღერძის მიმართ უთანაბროდ არის ჩამჯდარი.

პანთეონში ვ. ბარნოვის, დ. ყიფიანის, ვ აბაშიძის, დ. კლდიაშვილის და სხვა მოღვაწეთა ძეგლების ტერიტორია გაზონირებული არ არის.

არც გამოჩენილი ქართველი მწერლის ი. ჭავჭავაძის მონუმენტის „მწუხარე საქართველო" მდგომარეობაა დამაკმაყოფილებელი. აღვნიშნავთ უმთავრეს ნაკლოვანებებს: ძეგლის მთავარ ფასადთან არქიტექტურული ნიში ყამირის წყლისა და სინესტის გამო დაჟანგულია; ზოგ ქვას ფერი და სიმტკიცე დაუკარგავს. ფასადის საფეხურებზე ქვის წყობის წიბურები გაპობილან და ერთმანეთს 10-13 მილიმეტრით დასცილებიან. საფეხურები, რომლებიც საერთო კომპოზიციაში შედის, სამ ადგილას გაბზარულა, ხოლო მარცხნივ ორგან 100×50 მილიმეტრზე ამოტეხილა. ყველა ეს ნაკლი ამ შესანიშნავ ძეგლს მხატვრულ იერს უკარგავს.

დროა წესრიგში მოვიყვანოთ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ძეგლები.

**ს. ნაციაშვილი,**
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

## სასარგებლო ბროშურა

საქართველოს სსრ სამედიცინო გამომცემლობამ გამოსცა ექ. ი. ვ. კანდელაკის ბროშურა „ტუბერკულოზი". იგი განკუთვნილია მასობრივი მკითხველისათვის, ძირითადად ტუბერკულოზით დაავადებულ ავადმყოფთა და მათთან კონტაქტში მყოფი პირებისათვის.

ბროშურაში განხილულია ტუბერკულოზით დაავადების გზები, დაავადების მიმდინარეობის საკითხები და გამაფრთხილებელი ღონისძიებანი, აგრეთვე ის საშუალებანი, რომლებიც იხმარება დაავადებულთა სამკურნალოდ.

თუმცა ბროშურის მცირე მოცულობა ავტორს საშუალებას არ აძლევს ვრცლად და ყოველმხრივ გააშუქოს ზემოაღნიშნული საკითხები, მაგრამ ეს წიგნი მკითხველს მაინც დიდ სარგებლობას მოუტანს.

**ა. ჯაველიძე.**

## ოცი წელია ველოდებით...

20 წელია ველოდებით რაზმაძის და მცხეთის ქუჩების კეთილმოწყობას, მაგრამ ამაოდ. ახლა ამ ქუჩების შესახებ არაფერს ვიტყოდით, რომ ფალიაშვილის ქუჩასთან დამაკავშირებელი გზები — მეტალურგიული, კავსაძისა და არაყიშვილის ქუჩებიც არ გადაეკეტათ. სამივე გზაჯვარედინზე სახლები ჩადგეს და ამით 200-მდე ოჯახს გზა გადაგვეკეტა; რაზმაძის და მცხეთის ქუჩებიდან ტრანსპორტი ვეღარ გამოდის ბარნოვის ან ფალიაშვილის ქუჩაზე.



ჩვენ მოვითხოვთ, რომ მცხეთისა და რაზმაძის ქუჩების შუაწელში გააკეთონ ვერტიკალური ქუჩა, რომელიც დაგვაკავშირებს ბარნოვის და ფალიაშვილის ქუჩებთან.

მართალია, დაგვპირდნენ ბარნოვის და კავსაძის ქუჩების კუთხეში საცალფეხო კიბის გაკეთებას, მაგრამ დღემდე არაფერი გაუკეთებიათ, დროებითი საცალფეხო გზა კი ჩაიქცა და გაუვალი გახდა. ამჟამად მოკლებული ვართ როგორც საცალფეხო, ისე სატრანსპორტო გზას.

მოსახლეობას გზა სჭირდება. ეს უნდა გაითვალისწინოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა.

**ვ. ადეიშვილი,**
რაზმაძის ქ. № 85 სახლის მცხოვრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პარტიული ცხოვრება

# მსმენელთა მაღალი აქტივობით

თბილისის ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციაში თავიდანვე ორგანიზებულად დაიწყო სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში. აქ არსებული წრეების, პოლიტსკოლების, სემინარების უმრავლესობა მთელი სასწავლო წლის მანძილზე ნაყოფიერად მუშაობდა. მსმენელები იძენდნენ თეორიულ ცოდნას, რომელსაც პრაქტიკულ მუშაობაში იყენებდნენ.

19 მაისს დანიშნულ დროზე ცოტა ადრე შეიკრიბნენ მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრის წევრები. მსმენელთა ძირითადი შემადგენლობა კომუნისტები და კომკავშირელებია, რომლებიც უშუალოდ აქ, ფაბრიკაში ქმნიან მატერიალურ სიმდიდრეს. პროპაგანდისტიც ამ კოლექტივის წევრია. იგი მსმენელებთან ერთად დაინტერესებულია ფაბრიკის წარმატებით. პროპაგანდისტი კარგად იცნობს თვითეულ მსმენელს, ფაბრიკის ცხოვრებას. ყოველივე ეს ხელს უწყობდა, უადვილებდა მას გადასაცემი თეორიული მასალა დაეკავშირებინა ცხოვრებასთან, ფაბრიკის ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობასთან.

— დღეს ვამთავრებთ სასწავლო წელს პარტიული განათლების ქსელში. უნდა შევაჯამოთ მთელი ჩვენი მუშაობა, ცოცხალი საუბრით გავუზიაროთ ერთმანეთს მიღებული ცოდნა, კიდევ უფრო განვამტკიცოთ, შევავსოთ იგი, — ამ სიტყვებით დაიწყო შემაჯამებელი მეცადინეობა პროპაგანდისტმა ლევან კაზაროვმა.

როგორც ყოველთვის, დღესაც მეცადინეობა ორგანიზებულად დაიწყო. პროპაგანდისტს ჩამოწერილი ჰქონდა შესწავლილი მასალის ძირითადი საკითხები. იგი სვამდა კითხვებს ნათლად, და მსმენელებიც აქტიურად მონაწილეობდნენ საკითხების განმარტებაში. სასწავლო წლის მანძილზე მათ შეისწავლეს თეზისები „ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავის შესახებ", სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიის მასალები, კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირების მიერ მიღებული დოკუმენტები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილება და სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებანი საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარების და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ და ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხები.

პროპაგანდისტის პირველი შეკითხვა შეეხებოდა ოქტომბრის რევოლუციის ისტორიულ მნიშვნელობას.

წრის მსმენელები აქტიურად ჩაებნენ თემის გაშუქებაში. ყველას სურდა გაეცა პასუხი კითხვაზე. ფაბრიკის მოწინავე მოდელიერი ლ. მირუმოვი დინჯად ლაპარაკობს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობაზე.

— ისტორიაში ცოტა როდი იყო რევოლუციები, — ამბობს იგი, — მაგრამ არც ერთ მათგანს არ დაუმკვიდრებია მშრომელთა ხელისუფლება. მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ გადაწყვიტა ეს საკითხი მშრომელთა სასარგებლოდ და ამით დასაბამი მისცა ახალ ერას — სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების ერას. ოქტომბრის რევოლუციით დაიწყო ყველა ქვეყნის ჩაგრულ ხალხთა გამოღვიძება, და დღეს ჩვენი ეპოქის ძირითად შინაარსს წარმოადგენს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, რაც დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაიწყო.

პროპაგანდისტი სვამს კითხვას: — ვის სურს გააშუქოს საკითხი კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირების მიერ მიღებულ დოკუმენტთა მნიშვნელობის შესახებ?

მსმენელი რ. შერეზადაშვილი ნათლად და ამომწურავად განმარტავს 1957 წლის ნოემბერში კომუნისტური და მუშათა პარტიების მიერ მიღებული დეკლარაციისა და მშვიდობის მანიფესტის მნიშვნელობას. თათბირებმა ცხადყვეს სოციალისტური ბანაკის, მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შემდგომი განმტკიცება მარქსიზმ-ლენინიზმის იდეურ საფუძველზე. დეკლარაცია წარმოადგენს კომუნისტური პარტიების კოლექტიური გამოცდილების საფუძველზე მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის შემოქმედებითად განვითარების ნიმუშს. მასში მუშათა მოძრაობამ ჰპოვა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის მიმდინარე პრობლემებისა და ახლანდელი ეპოქის მთავარი ტენდენციების მარქსისტულ-ლენინური შეფასება. უდიდესი მნიშვნელობა აქვს დეკლარაციის მითითებებს რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

შემაჯამებელ მეცადინეობაზე ე. რეზნიკოვამ, რ. ბესპალოვამ, ნ. კალამკაროვმა, ს. პოლოსოვმა და სხვებმა დიდი ყურადღება დაუთმეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის დადგენილების ღრმად გაშუქებას. მათ აღნიშნეს, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად ახორციელებენ ლენინურ სამშვიდობო პოლიტიკას და ყველა ღონისძიებას მიმართავენ იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნას მტკიცე მშვიდობა მთელ მსოფლიოში. კომუნისტურ პარტიას არა აქვს სხვა საზრუნავი, გარდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი ზრდისა. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი. ჩვენს ქვეყანას მოეპოვება ყველაფერი, რაც კი საჭიროა ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის. ჩვენ გვაქვს რესურსების განუსაზღვრელი მარაგი.

მსმენელებმა დიდი ყურადღება დაუთმეს ფაბრიკაში შრომის ნაყოფიერების გადიდების, თვითღირებულების შემცირების, ნედლეულის ეკონომიისა და ფაბრიკის შინაგანი რეზერვების გამონახვის საკითხებს.

მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრის შემაჯამებელმა მეცადინეობამ მსმენელთა მაღალი აქტივობით ჩაიარა. აშკარად იგრძნობოდა, რომ კომუნისტებს წლის განმავლობაში ნაყოფიერად უმუშავნიათ.

დასასრულ, ფაბრიკის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგემ მ. ნარსიამ პროპაგანდისტთან ერთად მსმენელთა კრება ჩაატარა. კრებაზე მსმენელებმა ერთხმად განაცხადეს სურვილი მომავალ სასწავლო წელსაც აღნიშნულ წრეში განაგრძონ მეცადინეობა.

**გ. ნაჭყებია.**

# სკოლიდან კოლმეურნეობებში

მაყვალა ჯაჯანიძე, ნელი ლიკლიკაძე, მაყვალა ყაველაშვილი, ნათელა მელაშვილი და ქეთევან ხუბაშვილი პატარაობიდანვე ერთად იზრდებოდნენ, განუყრელი მეგობრები იყვნენ. ერთად სწავლობდნენ საშუალო სკოლაში და ერთადვე გადაწყვიტეს სიმწიფის ატესტატის მიღების შემდეგ მშობლიური სოფლის — ქაბუკიანის კოლმეურნეობაში წასულიყვნენ სამუშაოდ, მხარში ამოსდგომოდნენ მაღალი მოსავლის ოსტატებს.

ეს იყო გასულ წელს. ქალიშვილებმა მეთამბაქოობა ირჩიეს და მალე ბევრ მოწინავე კოლმეურნეს გაუსწრეს თამბაქოს უხვი მოსავლის მიღებაში. როცა ისინი გაეცნენ პარტიის მოწოდებას მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ, გადაწყვიტეს ახლა მეცხოველეობის ფერმაში წასულიყვნენ სამუშაოდ. თვითეულს 10 ძროხა მიუჩინეს მოსავლელად. მას შემდეგ მხოლოდ 5 თვე გავიდა, მაგრამ თუ იკითხავთ მოწინავე მწველავებს ქაბუკიანის ი. ქავქავაძის სახელობის კოლმეურნეობაში, პირველ რიგში ზემოხსენებულ გოგონებს დაგისახელებენ.

თუ გასულ წელს ფერმაში თვითეულ საფურაჯე ძროხაზე 1.100 კილოგრამი რძე იყო მიღებული, წელს მარტო ოთხ თვეში გოგონებმა თვითეულ ძროხაზე 760 კილოგრამი რძე მიიღეს. მათი ვალდებულებაა წელს თვითეულ ძროხაზე მიიღონ 3.000 კილოგრამი რძე. ახალგაზრდები მალე დაეუფლნენ მექანიზებულ ელექტროწველას. ზუსტად იცავენ კვების რაციონს. გარდა წვნიანი, უხეში და კონცენტრირებული საკვებისა, ძროხებს დღეღამეში საკმაო რაოდენობით აძლევენ სუფრის მარილს, კალციუმსა და ფოსფორს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ცხოველთა ჯანმრთელობისათვის, ისე პროდუქტიულობის ამაღლებისათვის. ისინი სანიმუშოდ იცავენ ძროხების მოვლა-პატრონობისა და წველის ჰიგიენურ პირობებს.

ქალიშვილებმა ფერმაში სიცოცხლე და ხალისი მიიტანეს. მეგობრული ურთიერთობა დაამყარეს კომკავშირელ მწყემს ჯუმბერ მდივნიშვილთან, რომელიც გასულ წელს საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მოვიდა ფერმაში, მწველავ ი. ქათამაძესთან, კომკავშირგარეშე ახალგაზრდებთან და მათთან ერთად ყველა პირობა შექმნეს კულტურული გართობა-დასვენებისათვის. ახალგაზრდები საღამოობით იკრიბებიან მათ მიერ მოწყობილ წითელ კუთხეში, უსმენენ რადიოგადაცემებს, კითხულობენ ახალ ჟურნალ-გაზეთებს, მართავენ შინაარსიან სააგიტაციო საუბრებს.

და განა მარტო ქაბუკიანელი ახალგაზრდები, ასობით საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები სახელოვნად შრომობენ ლაგოდეხის რაიონის სხვა კოლმეურნეობებში.

სოფელ ორჯონიკიძის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრებში სიყვარულით სარგებლობენ მოწინავე მეთამბაქოე ჟუჟუნა კურტანიძე და სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატი ჯულხან მაისურაძე. ჯულხანმა შარშან მისთვის მიჩენილი 0,25 ჰექტარი მიწის ფართობიდან 1.848 კილოგრამი სიმინდი მოიყვანა ნაცვლად 650-სა და პრემიის სახით 600 კილოგრამი სიმინდი მიიღო მარცვლად.

საკოლმეურნეო ხვავისა და ბარაქის გადიდებისათვის სახელოვნად იბრძვიან აგრეთვე საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები — სოფელ გურგენიანის კოლმეურნეობის მეთამბაქოეები ს. გოგოლაძე, დ. პაპაშვილი, ბაისუბნის კოლმეურნეობა „სტალინის გზით"-ის თამბაქოს უხვი მოსავლის ოსტატები ნათელა და ზაირა მუმლაძეები, სოფელ თელის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მემინდვრეები ო. აბრამიშვილი, გ. შუბითიძე და მრავალი სხვა.

ამას წინათ კომკავშირის ლაგოდეხის რაიკომის ინიციატივით მოეწყო სოფლის მეურნეობის მოწინავე ახალგაზრდობის რაიონული თათბირი, რომელიც მიეძღვნა საკავშირო ალკკ XIII ყრილობის შედეგების განხილვას.

თათბირზე 26 კომკავშირელ მემინდვრეს, მეთამბაქოესა და მეცხოველეს გადაეცა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამკერდე ნიშანი, საპატიო სიგელი და კომკავშირის ლაგოდეხის რაიკომის ქების სიგელი. სიტყვებით გამოსულმა დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებმა სურვილი გამოთქვეს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობებში წავიდნენ სამუშაოდ, ღირსეულად ამოუდგნენ მხარში სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებს.

**შ. ხვადაძე,**
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.



აღფრთოვანებით შეხვდნენ თბილისის 67-ე საშუალო სკოლის გამოსაშვები კლასების მოსწავლეები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას ახალგაზრდებისადმი, რომლებიც ამთავრებენ საშუალო სკოლას.

ბევრმა მათგანმა გამოთქვა სურვილი სიმწიფის ატესტატის მიღების შემდეგ სამუშაოდ წავიდეს თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში.

ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის 67-ე საშუალო სკოლის გამოსაშვები კლასების მოსწავლეთა ერთი ჯგუფი ფაბრიკა „ელექტროავტომატში" ეცნობა ავტომატების აწყობას. ბევრ მათგანს გადაწყვეტილი აქვს სკოლის დამთავრების შემდეგ იმუშაოს ამ ქარხანაში.

ფოტო ი. დავითაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).



მეტად ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ნიადაგმცოდნეობისა და მელიორაციის ლაბორატორია, რომელსაც ხელმძღვანელობს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ა. ხ. ვოზნესენსკი.

ნიადაგიდან მარილების მოშორების ახალ საშუალებათა ძებნაში ლაბორატორიის თანამშრომლებმა პროფესორ ვოზნესენსკის ხელმძღვანელობით ჩაატარეს საინტერესო ცდები: ისინი იყენებენ ელექტროდენს მლაშოვან ნიადაგში მარილების დასაშლელად და მისგან მავნე მარილების მოსაცილებლად. ამ მიზნით დანესტიანებულ ნიადაგში დებენ რკინის ელექტროდებს, რომლებშიც გაშვებულია ელექტროდენი. დენის ზეგავლენით მარილები ნიადაგში იშლება იონებად, რომლებიც გადაინაცვლებენ სათანადო ელექტროდებისაკენ.

ლაბორატორიული ცდების შედეგად მიღებულ იქნა დადებითი შედეგები. მლაშოვანი ნიადაგის ელექტრომელიორაციის საშუალებით გამოცოცხლებულ იქნება 20 ათასი ჰექტარი მლაშოვანი ადგილები ალაზნის მარჯვენა ნაპირზე.

ს უ რ ა თ ზ ე: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ა. ხ. ვოზნესენსკი (მარცხნივ) და უმცროსი მეცნიერი მუშაკი ლ. მზარეულოვა აწარმოებენ ცდებს მლაშოვანი ნიადაგიდან მავნე მარილების მოსაცილებლად.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა და გ. კიკვაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

## ონის რაიონში

### ქალაქის კეთილმოწყობა

სწრაფად იზრდება და სულ უფრო მშვენდება ქალაქი ონი. ძველი ერთსართულიანი სახლების ნაცვლად ქუჩებს ახლა ლამაზი კაპიტალური ორსართულიანი შენობები ამშვენებს. ვიწრო, ტალახიანი ქუჩები უკანასკნელ წლებში ფართო მოასფალტებულმა ქუჩებმა შესცვალა. წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა 400-ადგილიანი კინოთეატრის შენობა, 8-ბინიანი საცხოვრებელი სახლი. ქუჩებში დაიდგმება ახალი ლამპიონები, დაირგვება 5.000-მდე ძირი სხვადასხვა ჯიშის მცენარე. რიონის მარცხენა ნაპირზე მოეწყობა კულტურისა და დასვენების პარკი.

### რეკონსტრუირებული ელექტროსადგური

მცირეძალიანი ჯეჯორჰესი ვერ აკმაყოფილებდა ქალაქის მცხოვრებთა მოთხოვნილებას ელექტროენერგიაზე. გასულ წელს დაიწყო ელექტროსადგურის გაფართოება. გამოცვლილ იქნა სათავე ნაგებობა, ამაღლდა და გაფართოვდა სადერივაციო არხი, იდგმება ახალი გენერატორი, რომელიც ელექტროსადგურის სიმძლავრეს მნიშვნელოვნად გაზრდის.

### გამოყვანილია სასმელი წყალი

ონის მცხოვრებნი წლების მანძილზე სასმელი წყლის ნაკლებობას განიცდიდნენ. ამჟამად სოფელ ღარიდან გამოყვანილ იქნა სასმელი წყალი და დაიდგა 500 ონკანი. წყლის მარაგის გადიდებისათვის ახლახან მოეწყო შახტური ტიპის ჭა და სამარაგო რეზერვუარი.

### იშენებენ ახალ სახლებს

იზრდება ინდივიდუალური ბინათმშენებლობა. მარტო შარშან ქალაქს 50 ახალი კერძო საცხოვრებელი სახლი შემატა. წელს ქალაქის საბჭოს აღმასკომი ბინათმშენებლებს 400.000 მანეთს მისცემს კრედიტის სახით.

### კულტურის ახალი კერები

დიდი ღონისძიებები ხორციელდება რაიონის მცხოვრებთა კულტურული მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. წელს სოფლებში ღებსა და ლაგვანთაში გაიხსნება ახალი ხასოფლო ბიბლიოთეკები, ხოლო შრომისუბანსა და სომიწოში — ახალი კლუბები, რომლებსაც თავიანთი ბიბლიოთეკები ექნებათ.

**ა. ბეშიძე,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

## წერილები მთიანი რაიონებიდან

# I. გზა ლენტეხისაკენ

ქვემო სვანეთი ეს ლენტეხის რაიონია. კაცს, რომელიც საერთოდ სვანეთში, ხოლო კერძოდ ქვემო სვანეთში არ ყოფილა და რესპუბლიკის ამ უმშვენიერეს, გოროზი მთებით შემოფარგლულ მხარეზე, მის მცხოვრებლებზე, გულმართალი და რაინდი სვანების ყოფაცხოვრებაზე წარმოდგენა შემუშავებული აქვს ეგზოტიკური ლიტერატურის მიხედვით, ეგონება, ქვემო სვანეთი სადღაც შორს, კავკასიონის კალთების გადასაკარგავში იქნება, იქ ალბათ გაზაფხული დიდი დაგვიანებით დგება.

გუშინ კაცმა თბილისი დატოვა, ფოთლები მწვანედ კრთოდნენ ტოტებზე, ხოლო დღეს, ლენტეხში, ცხენისწყლის ნაპირას, ჭალად ატეხილ მურყნის ტყეს ბევრად უფრო მაღალი ეფექტით აჩნევია სიმწვანე, გაზაფხულის ძალა. საქართველოს სუბტროპიკებიდან მდინარე ცხენისწყლის ხეობით შემოჭრილი გაზაფხული ეწვია ლენტეხის რაიონს, მღვრიე ტალღებით აადგაფუნა ღელეები, მდინარეები, სიმწვანით გაახალისა დაბლობები და თუმცა თეთრად გადალესილ ბუმბერაზებს ჯერ ბევრი თოვლი ვერ წაართვა, მზერამახვილ სვან მონადირეებს ჯერ გზა ვერ გაუხსნა ჯიხვთა ჯოგების მისადგომებისაკენ, მაგრამ სამაგიეროდ კოლმეურნეები დარაზმა, გამოიყვანა და შესაია სახნავ-სათესს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების უმოკლეს ვადებში შესრულებისათვის.

რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები — პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ივ. ხაბულიანი და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. კ. გაზდელიანი სტუმარს ესაუბრებოდნენ რაიონის შემდგომი განვითარების წარმტაცი პერსპექტივების შესახებ.

— ჩვენი რაიონის მშრომელები, — ამბობდნენ ისინი, — საოცარი შრომისმოყვარეობით გამოირჩევიან, მაგრამ ბუნებას მათთვის არ მიუცია შესაფერი ასპარეზი ამ შრომისმოყვარეობის გამოსაყენებლად. სამჯერ და ოთხჯერ მეტი სახნავ-სათესი ფართობებიც რომ ჰქონდეთ სვანებს, ეჭვი ნუ გაქვთ, ხელისდადება მიწასაც არ დატოვებენ დაუმუშავებელს...

— მთავარი ის არის, — ამბობდა პარტიის რაიკომის მდივანი, — რომ ჩვენმა კოლმეურნემ დიდი ხანია აუღო ალღო ქვემო სვანეთის მიწას, მიხვდა, რა კულტურა უფრო მეტ შემოსავალს მისცემს, რა მნიშვნელობა აქვს მისი კეთილდღეობისათვის აგროტექნიკური ღონისძიებების დროულად განხორციელებას. წინათ ლენტეხის რაიონში ჰექტარზე 7-8 ცენტნერი მარცვლეულის მოსავალი კარგ მოსავლად ითვლებოდა. შარშან კი ჩვენმა კოლმეურნეებმა მარცვლეულის მოსავლიანობა 10-11 ცენტნერამდე გაადიდეს.

მაგრამ მომავალში ლენტეხელი მშრომელები ფიქრობენ სხვა ხაზით განავითარონ თავიანთი ეკონომიკა. უეჭველად შესაძლებელია აქ ფართოდ განვითარდეს მეცხოველეობა და ლენტეხის რაიონმა ღირსეული წვლილი შეიტანოს საბჭოთა ხალხის წინაშე დასახული იმ ამოცანის გადაჭრაში, რომ დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

დიდი მომავალი აქვს რაიონში მეხილეობას. აქაური ხილი შესანიშნავია, მასზე დიდია მოთხოვნილება და ამით აიხსნება, რომ კოლმეურნეები თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებზე ხალისით აშენებენ ხეხილის ბაღებს. მაგრამ იმისათვის, რომ კოლმეურნეობები წახალისდნენ და ხელი მიჰყონ მეხილეობის განვითარებას, საჭირო იქნება ორი პირობის შექმნა: ცაგერიდან ლენტეხამდე საავტომობილო გზის წესრიგში მოყვანა და ლენტეხში ხილის გადასამუშავებელი ქარხნის მოწყობა.

ლენტეხის რაიონი რესპუბლიკაში ერთ-ერთი უმდიდრესია თავისი ჰიდროენერგეტიკული რესურსებით, წიაღისეულით, ხე-ტყით.

და როდესაც კაცი გულდასმით გაეცნობა რესპუბლიკის ამ მთიან რაიონში ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებს, დარწმუნდება, რომ ლენტეხის რაიონის მშრომელებს უახლოეს წლებშივე შესაძლებლობა ექნებათ არა მარტო „თავი შეინახონ" საკუთარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით, არამედ რესპუბლიკასაც საგრძნობი რაოდენობით მისცენ გარდამეტი პროდუქცია — რძის ნაწარმი, კარტოფილი, ხილი, სავაიანო ბოსტნეული, მისცენ მრეწველობას ძვირფასი მერქანი, მადნეული, მრავალი სხვა სახელწოდების ნედლეული, არ შეიძლება არ ინატრო:

— ნეტავ დანიშნული დროისათვის შეასრულებდეს საქართველოს გზატკეცილების სამმართველო თავისი უფროსის ამხ. გ. რობიტაშვილის დაპირებას ლენტეხის რაიონის მშრომელებისადმი იმის შესახებ, რომ წელს თუ არა, გაისად მაინც ამ რაიონს უეჭველად ექნება კარგად მოწყობილი საავტომობილო მაგისტრალი. ამხ. გ. რობიტაშვილმა, რასაკვირველია, იცის, რომ ლენტეხელი სვანების ეკონომიურ-კულტურული კეთილდღეობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია კარგი საავტომობილო გზა, რომელიც არსებობს, მაგრამ რომელსაც უთუოდ მეტი ყურადღება, მეთვალყურეობა და მოვლა-პატრონობა სჭირდება.

— გზა ქვემო სვანეთის ხილს, მარმარილოს, ხე-ტყეს, მადნეულს, ფართო, კეთილმოწყობილი გზა!

**დ. ლომთაძე,**
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.

# ყოველმხრივ განვავითაროთ სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზები ჩვენს რესპუბლიკაში

საქართველოს ტერიტორიის თითქმის 90 პროცენტი მთაგორიანია, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობს დაბლობ ადგილებში, მდინარეების ან ზღვის ნაპირზე, ხოლო მცირე ნაწილი — ხეობების ძირში და მთების კალთებზე. დიდ სიმაღლეზე მდებარე მიწის ფართობები, რომლებიც ვარგისია სოფლის მეურნეობისათვის და დასასახლებლად, ჯერ კიდევ გამოუყენებელია. ეს ძირითადად გამოწვეულია გზებისა და სატრანსპორტო საშუალებათა მოწყობის სირთულით.

ამჟამად არსებობს ტრანსპორტის ახალი სახე — სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზა, რომელიც იოლად წყვეტს ტრანსპორტის საკითხს მთიან რაიონებში.

სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზები დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან ინერგება. ფართო გავრცელება ჰპოვა მან მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

საბჭოთა კავშირში პირველი ასეთი გზები მოაწყეს ჭიათურის სპეციალისტებმა. ამჟამად საქართველოში ექსპლოატაციაშია 6 გზა: 4 ჭიათურაში და თითო — ზესტაფონსა და ბაკურიანში.

უცხოეთის ქვეყნებში და აგრეთვე საქართველოში აშენებული საბაგირო გზების ექსპლოატაციის შედეგები მიუთითებენ ამ გზების დიდ ეკონომიურ ეფექტიანობაზე. საბაგირო გზა შეუფერხებლად მუშაობს ყოველგვარ კლიმატურ პირობებში. მისი სიგრძე გზატკეცილთან შედარებით 5-10-ჯერ უფრო ნაკლებია, თითქმის ამდენჯერვე მცირდება მოგზაურობის დრო, ხოლო გადაყვანის ღირებულება 2-3-ჯერ უფრო იაფია, ვიდრე ავტობუსით მგზავრობა.

სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზებზე მიღწეულია მოგზაურობის მაქსიმალური უსაფრთხოება: საზღვარგარეთ და ჩვენში ჯერ არ არის აღრიცხული არც ერთი უბედური შემთხვევა.

სად შეიძლება გამოვიყენოთ სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზები, როგორია მათი განვითარების პერსპექტივები საქართველოში? შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ მსოფლიოს თითქმის არც ერთ კუთხეს არ სჭირდება იმდენად ამ სახის სატრანსპორტო საშუალება, როგორც ჩვენს რესპუბლიკას.

მარგანეცი, ქვანახშირი, ბარიტი, ანდეზიტი და სხვა მრავალი ძვირფასი წიაღისეული, რომლებითაც ასე მდიდარია საქართველო, განლაგებულია მდინარეთა ხეობების სიახლოვეს მაღალმთიან ადგილებში. ეს გარემოება აძნელებს მოხერხებული სატრანსპორტო კავშირის მოწყობას წიაღისეულთა მოპოვებისათვის, საჭირო ხდება მთის კალთებზე გავიყვანოთ გზები, რაც მეტად ძვირი ჯდება. საჰაერო-საბაგირო გზების გამოყენების შემთხვევაში კი, როგორც ამას ჭიათურის პრაქტიკა გვიჩვენებს, საქმე ბევრად იოლდება. მაგალითად, ჭიათურაში მოწყობილმა საბაგირო გზამ, რომლის სიგრძე 500 მეტრია, შეცვალა 8 კილომეტრის სიგრძის გზატკეცილი, ხოლო მოგზაურობის დრო 10-ჯერ შემცირდა. საჰაერო-საბაგირო გზა, რომელიც ჭიათურას პერევისის ზეგანთან აკავშირებს, 8-ჯერ ნაკლები სიგრძისაა, ვიდრე საავტომობილო გზა.

ჭიათურის მარგანეცის აუზის განვითარების გენერალური გეგმით გათვალისწინებულია 25 საბაგირო გზის აშენება, რაც 4-5 წელიწადში უნდა განხორციელდეს.

სამგზავრო-საბაგირო გზების განვითარების დიდი პერსპექტივებია აგრეთვე ტყიბულში, ტყვარჩელში, რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთში, სამხრეთ ოსეთსა და ჩვენი რესპუბლიკის სხვა რაიონებში.

ცნობილია, რომ სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები და კულტსაყოფაცხოვრებო დაწესებულებები მეტწილად აშენებულია დაბლობ ადგილებში გზატკეცილებისა და რკინიგზების სიახლოვეს, ხოლო მაღლობი ადგილები, სადაც ბევრად უკეთესი კლიმატური პირობებია, გამოუყენებელია უგზოობის გამო.

სამგზავრო-საბაგირო გზას აქაც დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია. ამ მხრივ უკვე გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები: მწვანე კონცხზე და ქვერეთში (საჩხერის რაიონი) შენდება საბაგირო გზები, რომლებიც საექსპლოატაციოდ გადაეცემა მიმდინარე წლის სეზონისათვის. უკვე მზად არის მძიმე ტიპის გზის პროექტი, რომლითაც ბორჯომ-პარკი დაუკავშირდება პლატოს, სადაც გათვალისწინებულია რამდენიმე სანატორიუმის აშენება. ეს გზა, რომელიც საათში 250-მდე მგზავრს გადაიყვანს, საავტომობილო გზაზე 10-ჯერ მოკლეა.

ბორჯომში საჭიროა მოეწყოს 10-მდე საბაგირო გზა. ამით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება დასვენების და ცხოვრების პირობები ამ შესანიშნავ კურორტზე.

მრავალი საბაგირო გზაა საჭირო აგრეთვე სამთო-კლიმატურ კურორტებზე — წაღვერში, ცემში, ბაკურიანში, აბასთუმანში, აგრეთვე შავი ზღვის სანაპიროს კურორტებზე. სავსებით შესაძლებელია, რომ 5 კილომეტრამდე სიგრძის საბაგირო გზით ბახმარო დაუკავშირდეს სოფლებს ნაბეღლავს ან ხიდისთავს, რაც საშუალებას მოგვცემს ბახმარო გადავაქციოთ მთელი წლის განმავლობაში მოქმედ კურორტად.

თბილისი, რომელიც მდინარე მტკვრის ნაპირებზე ტაფობშია გაშენებული, მთებით არის შემოზღუდული. ამ მთებზე საუკეთესო საგარეუბნო სააგარაკო ადგილებია. ეს გარემოება დიდ პერსპექტივას ქმნის თბილისში სამგზავრო საბაგირო გზების მშენებლობისათვის. ამ მხრივ მუშაობა უკვე დაიწყო. ჭიათურელი მაღაროელები თბილისს 1.500 წლისთავისათვის უმზადებენ ძვირფას საჩუქარს — სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზას, რომელიც ქალაქის ცენტრს — რუსთაველის მოედანს დააკავშირებს მთაწმინდის პლატოსთან—ფუნიკულიორის ზედა სადგურთან.

ამ გზის პროექტში გათვალისწინებულია ყველა ის ტექნიკური სიახლე, რომლებიც მიღწეულია საბაგირო გზების მშენებლობაში. გზაზე წამში 6 მეტრი სისწრაფით ივლის ორი ვაგონეტი, რომლებიც საათში 300-ზე მეტ მგზავრს გადაიყვანენ ერთი მიმართულებით.

შემდეგში, როცა საბაგირო გზა რეგულარულად იმუშავებს, სასურველია მთაწმინდაზე აშენდეს დაწყებითი სკოლა სუსტი ჯანმრთელობის მოწაფეებისათვის და ღამის სანატორიუმები.

მთაწმინდაზე სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზები შეიძლება მოეწყოს უნივერსიტეტის მიდამოებიდან და ვ. ი. ლენინის სახელობის მოედნიდან. საჭიროა აგრეთვე ავაგოთ ვაკის ახალი სტადიონის კუსტბასთან, კურორტ წყნეთთან, 26 კომისრის რაიონის კომკავშირის ხეივანთან, თბილისის ზღვასთან, აგარაკ ოქროყანასთან და კოჯორთან დამაკავშირებელი სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზები.

ამ გზებით შეიძლება გადაიზიდოს სურსათი, სამრეწველო საქონელი. თბილისში საჰაერო-საბაგირო გზების მოწყობა დიდად გააუმჯობესებს თბილისელთა დასვენების პირობებს, ხელს შეუწყობს საგარეუბნო ჯანმრთელობის კერების უფრო ფართოდ გამოყენებას.

სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზები ფართოდ შეიძლება გამოვიყენოთ როგორც საქალაქო ტრანსპორტი, ქალაქის უბნების უმოკლესი გზით დასაკავშირებლად.

ჭიათურაში უკვე შენდება ასეთი გზა, რომელიც ქალაქის ცენტრს დააკავშირებს განაპირა უბანთან. ასეთივე საჰაერო-საბაგირო გზები შეიძლება აშენდეს თბილისში, უმოკლესი საჰაერო გზით ერთმანეთს დაუკავშირდეს დიდუბე, საბურთალო და ვაკე.

საბაგირო გზების გამოყენება მნიშვნელოვნად განტვირთავს სხვა სახის ტრანსპორტს, დააჩქარებს და გააიაფებს ქალაქში მიმოსვლას.

საჭიროა ყოველმხრივ განვავითაროთ სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზები ჩვენს რესპუბლიკაში, სადაც საამისოდ მეტად ხელსაყრელი პირობებია.

**ინჟინერი ი. ფანცულაია,**
ჭიათურის მარგანტრესტის საპროექტო განყოფილების უფროსი.

## სტადიონი კოლმეურნეობაში

გ ი გ ი ე ჭ ო რ ი. (საკ. კორ.). სერგიეთის კოლმეურნეობა „განთიადის" ახალგაზრდობის თხოვნით გამგეობა შეუდგა საკოლმეურნეო სტადიონის მშენებლობას. სტადიონს ექნება სხვადასხვა სახის სპორტული მოედნები სათანადო ინვენტარით. განზრახულია მშენებლობა წელს დამთავრდეს.

## ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ბ ე რ ლ ი ნ ი, 22 მაისი. (საქდესი). როგორც ადნის სააგენტო იუწყება, დღეს ლაიპციგში გაიხსნა გერმანიის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მეშვიდე ყრილობა, რომელიც მიმდინარეობს ლოზუნგით „სოციალიზმი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მთელი გერმანიის მშვიდობის საფუძველია." ყრილობას ესწრებიან ათასამდე დელეგატი და სტუმრები — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის, დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის, აგრეთვე დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლები.

დღეს ყრილობაზე ძირითადი მოხსენება პარტიის საქმიანობის შესახებ გააკეთა გერმანიის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ლ. ბოლცმა.

## ᲘᲜᲓᲝᲜᲔᲖᲘᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲨᲘ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲩᲐᲠᲔᲕᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ჯ ა კ ა რ ტ ა, 22 მაისი. (საქდესი). ინდონეზიის სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიციალურ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ჩრდილოეთ სულავესზე მეამბოხეთა საავიაციო ბაზებზე უეცარი თავდასხმების შედეგად მთავრობის ავიაციამ უკანასკნელ კვირაში მოსპო მეამბოხეთა 8 თვითმფრინავი და მთლიანად აღადგინა თავისი ბატონობა ჰაერში აღმოსავლეთ ინდონეზიაში. კომუნიკეში აღნიშნულია, რომ მეამბოხეებმა დროებით მოახერხეს ბატონობის შენარჩუნება ჰაერში, რადგან დახმარება მიიღეს საზღვარგარეთიდან საბრძოლო თვითმფრინავების სახით. მეამბოხეები ემზადებოდნენ მძიმე ბომბდამშენების მისაღებად მოროტაის აეროდრომზე, მაგრამ მთავრობის ჯარებმა დაიკავეს ეს დიდმნიშვნელოვანი აეროდრომი და ჩაფუშეს მათი გეგმები.

პრესის ცნობები მოწმობენ, რომ მეამბოხეებს კვლავ ეხმარებიან საზღვარგარეთიდან. როგორც ინდონეზიის პრესის ეროვნული სამსახურის ბიულეტენი იუწყება, უცხოეთის თვითმფრინავები განაგრძობენ იარაღის ჩამოყრას რაიონში ბუკიტინგის ჩრდილოეთით (ცენტრალური სუმატრა), სადაც ჯუნგლებში ჯერ კიდევ გადარჩნენ მეამბოხეთა ცალკეული ჯგუფები. მთავრობის ჯარებმა ამ რაიონში ხელთ იგდეს თვითმფრინავებიდან გადმოყრილი 150 ტონა იარაღი და ამუნიცია.

## ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ

### ინგლისის ელექტრომრეწველობის მუშათა პროფკავშირის კონფერენციაზე

ლ ო ნ დ ო ნ ი, 22 მაისი. (საქდესი). ელექტრომრეწველობის მუშათა პროფკავშირის ყოველწლიურმა კონფერენციამ მორკამბში (ლანკაშირი) ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც გამოთქმულია სერიოზული შეშფოთება „იმის გამო, რომ მემარჯვენეები და ფაშისტური ძალები საფრანგეთში ცდილობენ მოახდინონ საფრანგეთის დემოკრატიული კონსტიტუციის უზურპაცია ალჟირის პრობლემასთან დაკავშირებით და დაამყარონ მემარჯვენეთა დიქტატურა".

კონფერენციამ განაცხადა, რომ მხარს უჭერს საფრანგეთის მუშათა კლასს ყველა მოქმედებაში, რასაც იგი მიმართავს საფრანგეთში დემოკრატიული რესპუბლიკური წყობილების შესანარჩუნებლად და არჩეულ წარმომადგენელთა დასაცავად.

უფრო ადრე კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც იგი „გადაჭრით გმობს კონსერვატიული მთავრობის შეტევას მუშათა კლასის ცხოვრების დონეზე და მის ცდას შეასუსტოს პროფკავშირული მოძრაობა".

ამ რეზოლუციის განხილვის დროს მთელმა რიგმა ორატორებმა, მათ შორის ლეიბორისტული პარტიის წევრებმა, გააკრიტიკეს ლეიბორისტული პარტიის მემარჯვენე ფრთის და პროფკავშირთა ლიდერების შემთანხმებლური პოზიცია.

## ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲰᲐᲣᲠᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲚᲘᲑᲐᲜᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

დ ა მ ა ს კ ო, 23 მაისი. (საქდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტმა აკრამ ჰაურანიმ ლიბანის ამბების გამო გააკეთა განცხადება, რომელშიც თქვა: ყველაფერი, რაც ეხება ლიბანის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას, აგრეთვე ეხება სირიის და მაშასადამე არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას. ამიტომ ყოველი საფრთხე ლიბანის დამოუკიდებლობისათვის, საფრთხეა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დამოუკიდებლობისათვისაც. ამ ჭეშმარიტების მიუხედავად, ლიბანის ხელმძღვანელებმა ლიბანი გადააქციეს იმპერიალისტური სახელმწიფოების ბაზად, საიდანაც ავრცელებენ შხამიან პროპაგანდას და ეწევიან აგრესიას არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების წინააღმდეგ.

ლიბანელი პატრიოტის მეტნის მოკვლა, ხაზგასმით აღნიშნა ვიცე-პრეზიდენტმა, ნაპერწკალი იყო, რომლისაგანაც გაჩაღდა ხალხის გულისწყრომის ალი.

მაგრამ იმპერიალისტთა აგენტების თავხედობა ლიბანში იმ ზომამდე მივიდა, რომ ისინი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას აბრალებენ ლიბანის საშინაო საქმეებში ჩარევას და აცხადებენ, რომ არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ დარაზმა ლიბანელი ხალხი რევოლუციისათვის ლიბანის მთავრობის წინააღმდეგ.

„არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სირიელი ხალხი, — განაცხადა ვიცე-პრეზიდენტმა, — მთლიანად და სავსებით სცემს პატივს ლიბანის დამოუკიდებლობასა და ერთიანობას. რაც შეეხება იმპერიალიზმს ლიბანში, სწორედ მან დათესა შფოთი და ახლა თავს ესხმის ლიბანელი ხალხის ერთიანობას... ჭეშმარიტება ის არის, რომ არა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა ერევა ლიბანის საქმეებში, არამედ ლიბანის მმართველები, რომლებიც ცდილობენ გაამართლონ ლიბანის საშინაო საქმეებში ჩარევა იმით, რომ იგონებენ ყალბ ბრალდებებს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ. იმედს ამყარებენ რა უცხოეთის ჩარევაზე, მათ ამით სურთ იხსნან თავი ლიბანის დამოუკიდებლობის, უშიშროებისა და ერთიანობის საზიანოდ".

„ის ფაქტი, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოები მხარს უჭერენ ყალბ ბრალდებებს, თითქოს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა ერევა ლიბანის საშინაო საქმეებში, — განაგრძო ჰაურანიმ, — მოწმობს, რომ არსებობს შეთანხმება იმპერიალისტურ სახელმწიფოებსა და ლიბანის მმართველებს შორის, რაც თვალნათლივ იჩენს თავს ლიბანში იარაღის აშკარა გაგზავნით და ლიბანის შვილების დახოცვით. არავითარი ეჭვი არ არის, რომ უცხოეთის ყოველგვარი ჩარევა ლიბანის საშინაო საქმეებში, ყოველგვარი აგრესია ლიბანის თავისუფლებისა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ წარმოადგენს ჩარევასა და აგრესიას არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. იარაღი, რომელიც იგზავნება ლიბანში, იგზავნება აგრეთვე ყველა არაბის წინააღმდეგ, მათი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

## Მ Დ Გ Ო Მ Ა Რ Ე Ო Ბ Ა Ლ Ი Ბ Ა Ნ Შ Ი

ბ ე ი რ უ თ ი, 22 მაისი. (საქდესი). მდგომარეობა ლიბანში კვლავ დაძაბულია. ბეირუთში, საიდში, ტირში, ნაბატიესა და სხვა ქალაქებში გრძელდება გაფიცვები. განვლილ დღეღამეში ბეირუთში ააფეთქეს 6 ბომბი. ერთი ბომბი აფეთქდა ამერიკის უნივერსიტეტის შენობის ახლოს. იმის გამო, რომ მეორე კვირაა გრძელდება გაფიცვა, ქალაქში სურსათის ნაკლებობაა. კვების პროდუქტების ფასები ერთიორად-ერთისამად გაიზარდა.

ახასიათებს რა მდგომარეობას ბეირუთში, გაზეთი „ალ-ჯიფაპი" წერს: „არ არის არავითარი ნიშანი იმისა, რომ ხალხი აპირებდეს გაფიცვის შეწყვეტას. ბევრ რაიონში კვლავ აგებენ დაბრკოლებებს, თხრიან სანგრებს. შთაბეჭდილება ისეთია, რომ მზადდება გადამწყვეტი ბრძოლა".

როგორც გაზეთი „ტელეგრაფი" იუწყება, ჩრდილოეთ ლიბანში აჯანყებულებმა იერიში მიიტანეს პოლიციის უბანზე მდინარე ბარედის რაიონში და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ დაიკავეს იგი.

დასახლებულ პუნქტ მუნიეში, 25 კილომეტრზე ქალაქ ტრიპოლიდან, მოხდა შეტაკება აჯანყებულებსა და ეგრეთწოდებულ „უშიშროების ძალებს" შორის. არიან მოკლულნი და დაჭრილნი.

აკარის რაიონში აჯანყებულთა რაზმმა 1.500 კაცის რაოდენობით დაიკავა ქალაქები ჰალბა და ბერკაიელი.

გაზეთი „ლე სუარი" წერს, რომ აჯანყებულთა რაზმებში, რომლებიც ტრიპოლის რაიონში მოქმედებენ, 40 ათასამდე კაცია.

პრესის ცნობებით, შუფის მთიანი რაიონი მოწყვეტილია ლიბანის დანარჩენ რაიონებს.

გაზეთი „ას-სიასა" წერს, რომ სამხრეთ ლიბანში აჯანყებულებმა დაიკავეს დასახლებული პუნქტი ჰასბაია. გაზეთი „ტელეგრაფი" იუწყება, რომ ბეკაას რაიონში აჯანყებულებმა კვლავ მიიტანეს იერიში ქალაქ ბაალბეკზე და ცეცხლი წაუკიდეს მუნიციპალიტეტის შენობას.

## ᲐᲚᲟᲘᲠᲔᲚ ᲛᲔᲐᲛᲑᲝᲮᲔᲔᲑᲡ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲐᲥᲕᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲓᲐᲡᲯᲘᲐᲜ

პ ა რ ი ზ ი, 22 მაისი. (საქდესი). სამხედრო-ფაშისტური პუტჩის ორგანიზატორებმა გუშინ საღამოს ალჟირში მოაწყეს ახალი მანიფესტაცია ლოზუნგით „არმია — ხელისუფლების სათავეში!". გამოვიდა რა კრების წინაშე, გენერალმა სალანმა, რომელსაც პფლიმლენის მთავრობამ გადასცა ფართო სამოქალაქო და სამხედრო რწმუნებანი ალჟირში, კერძოდ, განაცხადა: „ჩვენ ყველანი გაერთიანებული ვართ, და ჩვენ ყველანი ერთად გავივლით ელისეს მინდვრებს". როგორც გაზეთი „ოროро" აღნიშნავს, „ამ მანიფესტაციის მონაწილენი პირველად წარმოთქვამდნენ ლოზუნგს: „პარიზისაკენ!".

მეამბოხეთა „საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტის" ერთ-ერთმა წევრმა ალენ დე სერინიიმ, რომელიც გაზეთ „ეკო დ"ალჟეს" დირექტორია, პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ „პფლიმლენის მთავრობასთან არ შეიძლება იყოს რაიმე კომპრომისი".

„ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა დე გოლი ჩაუდგეს სათავეში ხელისუფლებას, — თქვა თავის მხრივ სალანმა. — ჩვენ მაქსიმალური ზეგავლენა მოვახდინეთ, რომ მთავრობას რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის გადაეცა განცხადება გადადგომის შესახებ".

მეამბოხეთა მეთაურები ამზადებენ გეგმებს, რომ ალჟირის ომი გავრცელდეს მთელ ჩრდილოეთ აფრიკაში. იმავე გენერალმა სალანმა ლონდონის გაზეთ „ივნინგ სტანდარდის" კორესპონდენტთან ინტერვიუში განაცხადა, რომ „საჭიროების შემთხვევაში" იგი უყოყმანოდ უბრძანებს საფრანგეთის ჯარებს გადალახონ ალჟირ-ტუნისის საზღვარი. ამასთან ერთად სალანმა გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ცდილობს გაამართლოს საფრანგეთის ჯარების პროვოკაციული მოქმედება სამხრეთ ტუნისში.

დემოკრატიული პრესა დღეს აღშფოთებას გამოთქვამს ანტირესპუბლიკური შეთქმულების მონაწილეთა თავხედური პრეტენზიების გამო ალჟირში. გაზეთი „ლუმანიტე" კვლავ აყენებს კითხვას: „რატომ აყოვნებს მთავრობა მიიღოს მეამბოხეთა წინააღმდეგ ღონისძიებანი, რომლებსაც მოითხოვს ნამდვილი საზოგადოებრივი ხსნა?"

## ᲛᲮᲐᲠᲔᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ



ადრეული ბრინჯაოს ხანის სატევარი, ქინძისთავები და ცული.



ბრინჯაოს ხანის სარტყლის ბალთა ცხენის გამოსახულებით.

სამიოდე წლის წინათ საჩხერის რაიონის ქორეთის საშუალო სკოლაში ისტორიის გაკვეთილზე მოსწავლე რევაზ კაპანაძემ მოიტანა უძველესი ფული უცხოური წარწერითა და ადამიანთა გამოსახულებით. მოსწავლეები დაინტერესდნენ მიწაში ნაპოვნი ფულით, სურდათ გაეგოთ, რა ეწერა მასზე, როდის ან ვისგან იყო მოჭრილი. ისტორიის მასწავლებელი მ. გოგატიშვილი ამ შემთხვევამ მცირე უხერხულობაშიც კი ჩააყენა — ძნელი აღმოჩნდა ერთბაშად პასუხი გაეცა მოსწავლეთა კითხვებზე. მაგრამ მან მალე გაშიფრა ყველაფერი და შემდეგ გაკვეთილზე ახალგაზრდებს უამბო: ეს არის ბიზანტიური ვერცხლის ფული, რომელიც მოჭრილია იმპერატორ ჰერაკლეს მიერ. მონეტის ერთ მხარეზე გამოსახულია თვით იმპერატორი ჰერაკლე თავისი ორი ვაჟით, ხოლო მეორე მხარეზე ჯვარი და წარწერა: „დეუს ადიუტა რომანის" (ღმერთო, დაეხმარე რომაელებს). მასწავლებელმა განუმარტა ახალგაზრდებს ჩვენი სამშობლოს მდიდარი ისტორიული წარსული, მისი ურთიერთობა უცხო ქვეყნებთან.

ამ პატარა შემთხვევამ დასაბამი მისცა კარგ წამოწყებას — სკოლაში დაიწყეს არქეოლოგიური განათხარების შეგროვება. საფუძველი ჩაეყარა სასკოლო სამხარეთმცოდნეო-ისტორიულ მუზეუმს, სადაც ახლა სამასზე მეტი ექსპონატია გამოფენილი. საყურადღებოა, რომ მათ შორის ზოგი უნიკალურიც არის. ოცამდე ნაპოვნი შესწავლის თვალსაზრისით წაღებული აქვს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორია-არქეოლოგიის განყოფილებას.

სასკოლო მუზეუმს მჭიდრო ურთიერთობა აქვს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ხელოვნების მუზეუმის მეცნიერ მუშაკებთან. სასკოლო მუზეუმმა არა მარტო ახალგაზრდებისა და რაიონის მშრომელთა ყურადღება მიიპყრო, იგი ინახულა და გულდასმით დაათვალიერა ორმოცამდე მეცნიერმა მუშაკმა, მათ შორის აკადემიკოსმა შ. ამირანაშვილმა.

აქ ამჟამად ორი მთავარი სექციაა — პალეონტოლოგიისა და ისტორია-არქეოლოგიისა. პალეონტოლოგიის სექციაში საყურადღებოა გაქვავებული ორგანიზმების ნაშთები. აქ არის განამარხებული ვეშაპისმაგვართა მალები, ნეკნები, კიდურის ძვლები, ზვიგენის კბილები, ზღვის ნიჟაროვან ცხოველთა დანალექები, ანაბეჭდები და სხვ.

უფრო მდიდარი და საყურადღებოა ისტორია-არქეოლოგიის სექცია, რომელსაც ხუთი განყოფილება აქვს: ქვის ხანის, სპილენძ-ბრინჯაოს ხანის, რკინის ხანის, კერამიკისა და ნუმიზმატიკისა.

ნუმიზმატიკის განყოფილებაში არის უცხოური, რუსული და ქართული უძველესი მონეტები, მრავალნაირი მედალიონები, არაბული, სპარსული, თურქული ვერცხლის მონეტები. ქართული მონეტებიდან ყურადღებას იპყრობს მეფე გიორგი მესამის, თამარის, ლაშა გიორგის, რუსუდანის და სხვათა დროინდელი ფულები. ფრიად საინტერესოა კერამიკის განყოფილებაც, სადაც წარმოდგენილია ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხელოვნებით დამზადებული ჭურჭელი.

სასკოლო მუზეუმში წარმოდგენილია მოსწავლეების მიერ შეგროვებული ნაპოვნი ნივთები და იარაღები. მაგრამ ამ საქმით დაინტერესდნენ არა მარტო მოსწავლეები, არამედ მშრომელებიც. ბევრმა ქორეთელმა კოლმეურნემ ფრიად საინტერესო ნაპოვნი გადასცა მუზეუმს.

მუზეუმს, რომელსაც თვალსჩინოვით უფრთხილდება მასწავლებელი მ. გოგატიშვილი, აქვს ხელნაწერი ჟურნალი, ილუსტრირებული გაზეთი „ნორჩი მხარეთმცოდნე", ალბომები და სხვ.

მიმდინარე წლის იანვარში ქორეთის საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლემ ვაჟა გავაშელმა სასკოლო მუზეუმის მასალებზე ფრიად საინტერესო მოხსენება წაიკითხა მოსკოვში ნორჩ მოგზაურთა და მხარეთმცოდნეთა საკავშირო შეკრებაზე. მოხსენებამ საერთო მოწონება დაიმსახურა.

სკოლაში ასე მდიდარი სამხარეთმცოდნეო - ისტორიული მუზეუმის არსებობის ფაქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ჭიათურა-საჩხერე მდიდარია ისტორიული ძეგლებით, უძველესი სამარხებით, იარაღ-ნივთებით. მეცნიერებისათვის ეს ფასდაუდებელი განძეულობა ხშირად იკარგება. არაერთგზის თქმულა და დაწერილა ჭიათურა-საჩხერეში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსების შესახებ, მაგრამ ამ საქმეს თავი ვერ მოება. ნუთუ ასე ძნელია ამ საშვილიშვილო საქმის მოგვარება? რატომ უნდა იკარგებოდეს ჩვენი წარსულის მატერიალური თუ სულიერი კულტურის ამსახველი ძეგლები?

პ. ᲨᲘᲝᲮᲐᲫᲔ,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.



ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მარცხნივ — იტალიაში არსებულ ბერძნულ კოლონია ლუკანიაში ძველი წელთაღრიცხვით IV საუკუნეში მოჭრილი ბრინჯაოს ფული, რომლის ერთ მხარეზე გამოსახულია ადამიანის თავი მუზარადით, ხოლო მეორე მხარეზე — ხარი. (მონეტა იპოვნა ქორეთელმა მოსწავლემ დემურ გულიაშვილმა), მარჯვნივ — ბიზანტიური ვერცხლის ფული (VI საუკუნე).

## 50.000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲒᲔᲑᲐ

სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა 63-ე ტირაჟის მოახლოების გამო საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში გაძლიერდა მოთხოვნილება ამ სესხის ობლიგაციებზე.

მარტო აპრილსა და მაისის 15 დღეში რესპუბლიკის მოსახლეობამ ამ სესხის 6 მილიონ 100 ათასი მანეთის ობლიგაციები შეიძინა, რაც საგრძნობლად აღემატება შარშან ამავე პერიოდში შეძენილი ობლიგაციების თანხას.

აფხაზეთში წელს მოსახლეობამ შეიძინა 3-პროცენტიანი სესხის 1 მილიონ 921 ათასი მანეთის ობლიგაციები, აჭარაში — 1 მილიონ 633 ათასი მანეთისა, სამხრეთ ოსეთში — 354 ათასი მანეთისა, ქალაქ თბილისში — 9 მილიონ 752 ათასი მანეთისა.

ამ სესხის მოგებათა მორიგი 63-ე ტირაჟი გაიმართება 30 მაისს ქალაქ მოსკოვში. გათამაშდება 51 მილიონ 152 ათას 200 მანეთის 93.500 მოგება, მათ შორის 22 მოგება 50.000-მანეთიანი, 55 მოგება 25.000-მანეთიანი, 275 მოგება 10.000-მანეთიანი და ბევრი მოგება 5.000, 1.000 და 400-მანეთიანი.

ამ დღეებში ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიონის ცენტრალურმა შემნახველმა სალარომ ერთ დიასახლისს 3-პროცენტიანი სესხის ობლიგაციაზე გადაუხადა 50.000 მანეთი მოგება. სოხუმში, ბათუმში, სტალინირში, ქუთაისსა და სხვა ქალაქებში შემნახველმა სალაროებმა 3-პროცენტიანი სესხით გასცეს 10.000, 5.000 და 1.000-მანეთიანი მოგებანი.

## „Ო Ს Უ Რ Ი Ლ Უ Დ Ი"

სტალინირში ჩამოსული სტუმრები ხშირად მოიკითხავენ ხოლმე ადგილობრივ ლუდს. და ეს შემთხვევითი როდია. აქაურმა ლუდმა დიდიხანია მოიხვეჭა სახელი თავისი მაღალი ხარისხით.

სტალინირული ლუდის მარკას სახელი გაუთქვა ბევრმა რამემ, მაგრამ პირველ რიგში უახლესი ტექნიკით აღჭურვილმა ლუდის სახარშმა ქარხანამ, რომელიც ჯერ კიდევ 1950 წელს ჩადგა მწყობრში. ქარხანაში აღიზარდნენ ამ დარგის კვალიფიციური მუშები, ტექნოლოგები. ქარხანა სანიმუშოდ ასრულებს საწარმოო დავალებებს, წლის პირველი კვარტალის დავალება შესრულებულ იქნა 134 პროცენტით. თანდათან კლებულობს პროდუქციის თვითღირებულება.

ახლახან ქარხანამ აითვისა და გამოუშვა ლუდის ახალი მარკა „ოსური ლუდი". მისი გამოყვანისათვის ქარხნის სპეციალისტებმა შეისწავლეს ოსური შინაური ლუდის თვისებები, დაუკვირდნენ მისი დამზადების წესს და ყოველივე სასარგებლო გამოიყენეს ლუდის ახალი სახის ათვისების დროს. „ოსური ლუდი" გამოირჩევა გემოთი, სიმაგრით, არომატით. მასზე დიდი მოთხოვნილებაა არა მარტო სამხრეთ ოსეთში, არამედ რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც.

## ᲮᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜ ᲡᲢᲔᲕᲔᲜᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

22 მაისს თბილისში გაიმართა საღამო, რომელიც მიეძღვნა რუსი ბოტანიკოსისა და ენტომოლოგის ხრისტიან სტევენის გარდაცვალების 95 წლისთავს. საღამო მოაწყო საქართველოს ბოტანიკურმა საზოგადოებამ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებასთან ერთად.

საღამო გახსნა უხუცესმა ქართველმა ბოტანიკოსმა ე. ქიქოძემ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ა. ხარაძემ გააკეთა მოხსენება „ხრისტიან სტევენი როგორც ყირიმისა და კავკასიის ფლორის მკვლევარი".

მოხსენება თემაზე „ხრისტიან სტევენის ნაშრომთა მნიშვნელობა კავკასიის ფლორის შესწავლის ისტორიისათვის" წაიკითხა ბოტანიკის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ა. შხიანმა. (საქდესი).

## Დ Ღ Ე Ს

## Თ Ბ Ი Ლ Ი Ს Ი Ს Თ Ე Ა Ტ Რ Ე Ბ Შ Ი

**ოპერისა და ბალეტის** — დაისი (მე-2 აბ. მე-8 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — ოიდიპოს მეფე, **მარჯანიშვილის სახელობის** — მარინე, **გრიბოედოვის სახელობის** — სამსახურიდან გადამდგარი კაცი, **სომხური დრამის** — გლახის ნაამბობი, **მუსიკალური კომედიის** — ცირკის პრინცესა (8 ს. 30 წ.), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — რობინ ჰუდი (4 ს., აბ. № 43), ბაშ-აჩუკი (7 ს., აბ. № 14), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ჩექმებიანი კატა (12 ს.), უთავო მხედარი (7 ს.), **თოჯინების ქართული** — ბრაზიანი მეზობლები (11 ს. და 4 ს.), ხაფანგში (2 ს.), **ფილარმონიის საზაფხულო თეატრი** — თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრი (9 ს.).

## Კ Ი Ნ Ო Თ Ე Ა Ტ Რ Ე Ბ Შ Ი

**რუსთაველის სახელობის, ამირანი** (საზამთრო), **ფილარმონიის ბაღი, ისანი** (საზამთრო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — შტეფსელი აქორწინებს ტარაპუნკას, **ოქტომბერი** — ვინ არის დამნაშავე, **ამირანი** (საზაფხულო), **თბილისი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **კოლხიდა** (საზამთრო), **ოფიცრის სახლი** — ახალი ატრაქციონი, **ისანი** (საზაფხულო), **დიდუბე** (საზაფხულო), **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — ჩექმებიანი კატის ახალი თავგადასავალი, **კოლხიდა** (საზაფხულო) — მე ვიტყვი სიმართლეს, **კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი** — ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი) — კატერინა, **გორკის სახელობის კულტურის პარკი, დიდუბე** (საზამთრო) — ეს ორ მოხდა ამაოდ, **ძერჟინსკის სახელობის** (საზაფხულო), **ყაზბეგი** — „ჭრელთა" საქმე, **კოლმეურნე** — ქართული კინოფილმების ფესტივალი, **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** — ამბავი საბრალო შეყვარებულებისა, **სპარტაკი** — ჩრდილი და სინათლე.

## ᲢᲔᲚᲔᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐᲗᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

**24 მაისისათვის**

19.30 — გადაცემა ბავშვებისათვის „სცადეთ, იქნებ გააკეთოთ!", 19.55 — ქრონიკალურ-დოკუმენტური [illegible] „თქმულება მოსკოვის მიწაზე", 21.00 — მხატვრული ფილმი „ნეაპოლი — მილიონერთა [illegible]".

## ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

### [illegible] ველორბოლა

[illegible] ველორბოლის უკანასკნელი ეტაპი ლაგოდეხი-თბილისი იყო.

შეჯიბრების დასკვნითი ნაწილი ხასიათდებოდა შეუპოვარი ბრძოლით. ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა სპარტაკელმა ბ. ძმაილოვმა. მან 165 კილომეტრი 4 საათში, 46 წუთსა და 21 წამში გაიარა.

ამრიგად, მიმდინარე სასპორტო სეზონის ეს ერთ-ერთი მასობრივი და მიმზიდველი ასპარეზობა დამთავრდა. საქართველოს უძლიერესმა ველომრბოლებმა გაიარეს 1.000 კილომეტრზე მეტი.

პირად ასპარეზობაში გამარჯვებული გამოვიდა დინამოელი ა. თავაძე. მან აჩვენა დრო — 28 საათი, 20 წუთი და 58 წამი. მეორე ადგილი დაიკავა ლ. შენგელიამ („დინამო", 28 საათი, 22 წუთი, 19 წამი), მესამე — ე. ბირიუკოვმა („სპარტაკი", 28 საათი, 22 წუთი, 40 წამი).

სამივე ველომრბოლმა აჩვენა სპორტის ოსტატის დრო, 15-მა სპორტსმენმა — პირველთანრიგოსნის შედეგი.

შვიდივე ეტაპის ჯამის მიხედვით გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს დინამოელმა ველომრბოლებმა.

### ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

22 მაისს თბილისის ცენტრალურ ჭადრაკო კლუბში გაიმართა ჭადრაკში საქართველოს პირველობის გათამაშების მეცხრე ტური.

საინტერესოდ მიმდინარეობდა ოსტატების გურგენიძისა და შიშოვის პარტია, რომელიც გურგენიძის გამარჯვებით დამთავრდა. ამავე ტურში კასპარიანმა მოუგო რაზოვსკის, ბელთაძემ — ლოლუას, ბრეიტმანმა — მორჩილაძეს. მაჭავარიან-ბლაგიძისა და გამრეკელი-კალატოზიშვილის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ცხრა ტურის შემდეგ წინ არიან გურგენიძე და ბლაგიძე, რომლებსაც შვიდ-შვიდი ქულა აქვთ.

### ᲛᲝᲤᲐᲠᲘᲙᲐᲕᲔᲗᲐ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲐ

რიგაში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა ბელორუსიის, ლენინგრადის, ლიტვისა და ლატვიის უძლიერეს მოფარიკავეთა ამხანაგური შეხვედრები.

რაპირით ბრძოლაში უძლიერესი იყვნენ ბელორუსიის სპორტსმენები, ესპადრონით ასპარეზობაში—ლიტვის მოფარიკავეები, დაშნით ბრძოლაში — ლატვიის სპორტსმენები.

საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს ლენინგრადელმა მოფარიკავეებმა.

### ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოსკოვში დაბრუნდა სსრ კავშირის ძალოსანთა ნაკრები გუნდი, რომელმაც ამერიკელებთან სამი შეხვედრიდან სამივე მოიგო საერთო ანგარიშით 14 : 7. ამ შეხვედრებში სსრ კავშირის შტანგისტებმა დაამყარეს ჩვენი ქვეყნის 5 ახალი რეკორდი, აქედან სამი — მსოფლიო რეკორდებს აღემატება.

* * *

ამ დღეებში სსრ კავშირის მეორე ნაკრებმა გუნდმა ლენინგრადში გამართა საწვრთნელი მატჩი ფეხბურთში ადგილობრივ „შრომითი რეზერვების" გუნდთან, რომელიც „ბ" კლასში გამოდის. ლენინგრადელებმა კარგად მოაწყეს დაცვა, ნაკრების თავდამსხმელებმა (ტატუშინი, ბუბუკინი, სიმონიანი, სალნიკოვი, მეტრეველი) ვერ შეძლეს ბურთის გატანა. მატჩის შედეგია ფრე 0 : 0.

რედაქტორი პ. ᲠᲐᲢᲘᲐᲜᲘ.


თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
აბონემენტის გარეშე
რუმინეთის დამსახურებული არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ლია ხუბიკის (კოლორატურული სოპრანო)
**ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲘ**
ოთხშაბათს, 28 მაისს
ჯ. ვერდი
**ᲢᲠᲐᲕᲘᲐᲢᲐ**
ოპერა 4 მოქმედებად
ვიოლეტას როლს ასრულებს
ლია ხუბიკი
ბილეთები იყიდება თეატრის სალაროებში. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.



ჟურნალ-გაზეთების ხელმომწერთა საყურადღებოდ
გრძელდება ხელმოწერა 1958 წლის მეორე ნახევრისათვის ცენტრალურ ჟურნალებზე 5 ივნისამდე, გაზეთებზე — 15 ივნისამდე, რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებზე — 25 ივნისამდე.
„სოიუზპეჩატი".


შვილები ილია, გრიგოლი, ვახტანგ, რძლები შურა, მარია, ლილი; შ. ხოსიტაშვილი, თინათინ, თენგიზ, ჯამბულ, ანდრო, დავით, კონსტანტინე წიკლაურები იუწყებიან სოციალისტური შრომის გმირის

ანდრია ვახილის-ძე წიკლაურის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25, 26-V, 8 ს. გამოსვენება 27-V, 6 ს. ტაბიძის ქ. № 50.

## ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ

1958 წლის 21 მაისს მოსკოვში მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირ-კორეის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის მეხუთე სესიამ.

სესია მიმდინარეობდა გულითადი მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში. მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და გამოცდილების გაზიარება ქვეყნებს შორის წარმატებით ხორციელდება.

საბჭოთა კავშირმა მეოთხე სესიის შემდეგ განვლილ პერიოდში კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას გადასცა: მაცივარი აგრეგატების, ქერისა და სიმინდის ბურღულის ქარხნის მოწყობილობის, ელექტროშუქის საშუალებით თევზჭერის ტუმბოს, ასინქრონული ელექტროძრავის სამუშაო ნახაზები; პერგამენტისა და ცარცის ქაღალდის წარმოების, სპილენძის ჟანგით ჰიდროტექნიკური ხე-ტყის ანტისეპტირების ტექნოლოგიის აღწერილობა; შუშის მილების, გაკრიალებული მინის წარმოების ტექნიკური პირობები და ინსტრუქციები, გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა წარმოების ნორმატიული მასალები და სხვ. კორეელი სპეციალისტები გაეცნენ მჟავიანი და ტუტიანი აკუმულატორების, განუწყვეტელი მეთოდით სუპერფოსფატის წარმოების, შტაპელის ნართისა და შტაპელის ბოჭკოს წარმოების ტექნოლოგიას, ჰიდრომეტეოროლოგიის, ზომათა და საზომ ხელსაწყოთა შემოწმების საკითხებს.

კორეის სახალხო - დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ამავე პერიოდში საბჭოთა კავშირს გადასცა კვლევითი ნაშრომები ჟენშენის აგროტექნიკაში, ყინვაგამძლე და უხვმოსავლიანი ჯიშების ხილისა და კენკრის კულტურების სარგავი და სათესი მასალის ნიმუშები, ცემენტის ქარხნის შახტური ღუმელიდან კირის განუწყვეტელი გადმოტვირთვის სამუშაო ნახაზები.

საბჭოთა სპეციალისტები გაეცნენ სამკურნალო და სხვა სასარგებლო მცენარეების მოყვანის პირობებს, აგრეთვე ჩრდილოეთ კორეაში სასარგებლო წიაღისეულის საბადოების გეოლოგიურ შესწავლას.

კომისიის მეხუთე სესიის ხელმოწერილი ოქმის შესაბამისად საბჭოთა ორგანიზაციები კორეის მხარეს უსასყიდლოდ გადასცემენ: მთლიან-ძელური სიმბეტონის შპალების საამქროს, აგრეთვე ერთლიანდაგიანი და ორლიანდაგიანი რელეური ნახევრადავტომატური ბლოკირების, ორთქლისა და ელექტროწევის ავტომატური ბლოკირების, გადასავლის სიგნალიზაციის ტიპურ პროექტებს; გემის დიზელების, ავტომატური განმეორებითი ამომრთველების, პნევმატიკური ჩაქუჩების, „ა" ვიტამინის წარმოების ძირითადი მოწყობილობის, სხვადასხვა მანქანის გამოსაცდელი სამარჯვების სამუშაო ნახაზებს; ბეწვის დამუშავებისა და შეღებვის და ზღვის ცხოველებისა და თევზის ტყავის დამუშავების, ტრანსფორმატორებისათვის მუყაოს, სამეურნეო - საყოფაცხოვრებო ნაკეთობათა და ფოტოქაღალდის დამზადებისათვის ხელოვნური ტყავის წარმოების, აგრეთვე ვისკოზის წარმოების ტექნოლოგიურ დოკუმენტაციას; სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებათა გამოვლინების მასალებს.

საბჭოთა ორგანიზაციები მიიღებენ და გააცნობენ კორეელ სპეციალისტებს ქლორის ვინილისაგან სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ნაკეთობათა წარმოებას, თევზის ქონის ჰიდროლიზის მეთოდს, მხატვრული ფაიფურისაგან ნაკეთობათა წარმოებას, აგრეთვე მუხის, ტირიფისა და ლარიქსის ქერქისაგან ტანიდების წარმოებას. საბჭოთა სპეციალისტები აგრეთვე კონსულტაციას და ტექნიკურ დახმარებას გაუწევენ მეფუტკრეობის განვითარების, თევზის მოშენების, ელექტროგადამცემი ხაზების დაცვის ორგანიზაციაში, ფოლადის ნაგლინის წარმოებაში, აგრეთვე შუშის ნაწარმის მოხატვაში.

თავის მხრივ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ორგანიზაციები საბჭოთა სპეციალისტებს გააცნობენ ლერწმისაგან ცელულოზის ხარშვის და ქაღალდად მისი გადამუშავების გამოცდილებას.

მხარეებმა განიხილეს ურთიერთ წინადადებანი და მიიღეს გადაწყვეტილება დამყარდეს უშუალო კავშირი სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შესაბამის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს შორის მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის გამოცდილების გასაზიარებლად ქიმიის, რკინისა და სხვა მადნების გამდიდრების და თევზის მეურნეობის დარგში.

საბჭოთა კავშირ-კორეის კომისიის კორეის ნაწილის წევრები მეხუთე სესიის მიმდინარეობის პერიოდში ეწვივნენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ხაწარმოს და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს.